


ზაურ ჯაბუა

ელექტრონული ტექნიკის მასალების
ტექნოლოგია



თბილისი 2013

დამსმარე სახელმძღვანელოში განხილულია ელექტრონული ტექნიკის მასალების ტექნოლოგიაში გამოყენებული მასალების გაწმენდის, შენაერთების სინთეზის, ლეგირების, პოლიკრისტალების მიღების, მონოკრისტალებისა და ეპიტაქსიური ფირების გაზრდის მეთოდები. მოყვანილია ელექტრონულ ტექნიკაში ფართოდ გამოყენებული ელექტრული მასალების ფიზიკო-ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საინჟინრო-ფიზიკის ფიზიკის პროგრამის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. ის გარკვეულ სარგებლობას მოუტანს სხვა მონათესავე სპეციალობის სტუდენტებსა და მასალების ტექნოლოგიით დაინტერესებულ მკიონებს.

რეცენზენტი: ფიზიკა-მათემა მეცნიერებათა კანდიდატი,
თამაზ მაკალათია

სარჩევი

შესავალი

5

1. ნადნობთა კრისტალიზაცია. მინარევების გავლენა კრისტალიზაციის
პროცესებზე. დეფექტები 7
2. მაღალი სისუფთავის მასალების კლასიფიკაცია. მათთან მუშაობის
წესები 13
3. ძირითადი და დამხმარე მასალები. ნახევარგამტარული
შენაერთების კომპონენტები და მალეგირებელი
ელემენტები. 15
4. მინარევის განაწილების კოეფიციენტის ცნება. მისი სახეები.
მათ შორის კავშირი. სხვადასხვა ფაქტორების განაწილების
ეფექტურ და წონასწორულ კოეფიციენტებზე. მასალის
გაწმენდა ნორმალური მიმართული
და ზონური გადაკრისტალებით 20
5. მონოკრისტალების მიღება ბრიჯმენ-სტოკბარგერის მეთოდით 28
6. მონოკრისტალების მიღება ჩოხრალსკის მეთოდით 31
7. ნახევარგამტარი მასალების ლეგირების ტექნოლოგია 36
7.1. დიფუზიის ცნება. ფიკის კანონები 37
7.2. დიფუზიის ჩატარების ტექნიკა 41
7.3 იონური იმპლანტაცია 44
7.4. ლეგირებული ფენების მახასიათებლების შესწავლის მეთოდები 46
8. სუფთა პოლიკრისტალური სილიციუმის მიღების
ტექნოლოგია და მისი მონოკრისტალების გაზრდა. სილიციუმის
ეპიტაქსიური ფირების მიღება 49
9. სუფთა პოლიკრისტალური გერმანიუმის მიღების
ტექნოლოგია და მისი მონოკრისტალების გაზრდა. გერმანიუმის

10. ნახევარგამგარული არაშლადი და შლადი შენაერთების მიღების მეთოდები. მასალების მონოკრისტალების მიღების მეთოდები	53
11. სხვადასხვა მასალების თხელი ფირების მიღების მეთოდები	57
11.1. თხელი ფირების მიღება ვაკუუმურ-თერმული აორთქლების მეთოდით	58
11.2. თხელი ფირების მიღება კათოდური გაფრქვევით	66
11.3. ფირების მიღება აირფაზური ეპიტაქსიით	67
11.4. თხელი ფირების სისქის გაზომვის მეთოდები	72
ლიტერატურა	74

შესავალი. ელექტრონული ტექნიკის მასალების ტექნოლოგიის მიღწევები

ელექტრონული ტექნიკა წარმოადგენს თანამედროვე ელექტროტექნიკური, რადიოტექნიკური და ავტომატური მოწყობილობების საფუძველს. ელექტრონული ტექნიკის მასალების წარმოების გართულება და გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოება მომავალი ინიცირებისაგან მოითხოვს ელექტრონული ტექნიკის მასალების ტექნოლოგიის საფუძვლების დრმა ცოდნას, რომელიც ასევე აუცილებელია შესაბამის ელექტრონულ ხელსაწყოებში მიმდინარე პროცესების გააზრებისა და მათი ტექნიკური დიაგნოსტიკის სწორად ჩატარების საქმეში.

ელექტრონული ტექნიკის მასალების მიღების ტექნოლოგიური პროცესი წარმოადგენს იმ ხერხებისა და პროცესების ერთობლიობას, რომელთა ჩატარებაც აუცილებელია ნედლეულიდან დაწყებული საბოლოო ნამზადის შექმნამდე.

ტექნოლოგიური პროცესი წარმოებს ტექნოლოგიური სქემის მეშვეობით. ეს უკანასკნელი არის იმ ოპერაციების მიმდევრობა, რომლებიც ტარდება შესაბამის ტექნოლოგიურ მოწყობილობებსა და დანადგარებში. ტექნოლოგიური სქემა გულისხმობს სხვადასხვა ისეთი ტექნოლოგიური ოპერაციების შერწყმას, როგორებიცაა: სითბური, მასათაგაცვლითი, მექანიკური და ქიმიური პროცესები.

ლექტრონული ტექნიკის მასალებს იდებენ ქიმიკო-ტექნოლოგიური პროცესების საშუალებით, რომლებიც შედგებიან მთელი რიგი ელემენტარული ფიზიკური, ფიზიკო-ქიმიური და ქიმიური პროცესებისაგან, რომლების შედგებიან შემდეგი სტადიებისაგან:

- 1).ნედლეულის მომზადება და მორეაგირე კომპონენტების მიწოდება რეაქციის ზონაში;
- 2).ქიმიური გარდაქმნები;
- 3).რეაქციის ზონიდან მიღებული პროდუქციის გამოყოფა.

პირველ სტადიაზე მიმდინარეობენ ფიზიკური პროცესები, რომელთა შედეგადაც მასალები იცვლიან მხოლოდ გარეგან ფორმას ან ფიზიკურ თვისებებს და ქიმიურად უცვლელნი გადადიან მეორე სტადიაზე. ღეაქციის ზონაში მორეაგირე კომპონენტების მიწოდება ხდება ან დიფუზიით ანდა კონვექციით, ან აირების აბსორბციით ანდა დესორბციით, ორთქლის კონდენსაციით, მყარი ნივთიერების გადნობით ანდა მათი გახსნით სითხეში, სითხეების აორთქლებით და ა.შ.

მეორე სტადიაზე ადგილი აქვს ისეთ პროცესებს, როდესაც ძირითადი მასალები განიცდიან უფრო დრმა გარდაქმნებს, რომელთა შედეგადაც იცვლება არამარტო ფიზიკური თვისებები არამედ მასალის აგრეგატული მდგომარეობა და ქიმიური თვისებები. მორეაგირე სისტემებში ჩვეულებრივ ადგილი აქვს რამდენიმე თანმიმდევრულ ან პარალელურ ქიმიურ რეაქციებს, რომლებლებიც წარმოქმნიან ძირითად პროდუქტს და გარდა ამისა მთელ რიგ გარეშე რეაქციებს ძირითად მასალასა და მინარევებს შორის, რომელთა არსებობაც ნედლეულში გარდაუვალია. ყოველივე ამის გამო ძირითადი პროდუქტის გარდა მიღება ნარჩენები,

რომლებსაც არანაირი დირებულება არ გააჩნიათ. გარეშე როდუქტები შეიძლება მიღებულ იქნას, როგორც ძირითადი რეაქციის შედეგად ასევე გვერდითი რეაქციების მეშვეობით, ძირითად მასალასა და მინარევებს შორის. საწარმოო პროცესების ანალიზისას ყურადღებას აქცევენ არა ყველა რეაქციას არამედ მხოლოდ იმ რეაქციებს, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენენ ძირითადი პროდუქტის რაოდენობასა და ხარისხს.

მესამე სტადიაზე ქიმიური გარდაქმნები არ ხდება, აქ ადგილი აქვს მხოლოდ პროდუქტების დაყოფას: გამოიყოფა ძირითადი პროდუქტი, ნარჩენი პროდუქტები და დარჩელი საწყისი რეაგენტები, რომელთა დაბრუნებაც შესაძლებელია პროცესის დასაწყისში.

ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაციასა და ოპტიმიზაციაში დიდ როლს თამაშობს მისი ტექნოლოგიური რეჟიმი. თექნოლოგიური რეჟიმი ეწოდება იმ ძირითადი ფაქტორების (პარამეტრების) ერთობლიობას, რომლებიც გავლენას ახდენენ პროცესის სიჩქარეზე, პროდუქტის გამოსავლიანობასა და ხარისხზე. უმრავლესი ელექტრონული ტექნიკის მასალების წარმოების ტექნოლოგიის ძირითადი პარამეტრია ტემპერატურა, წნევა, რეაგენტების მიწოდებისა და შერევის ხერხი და ა.შ.

ტექნოლოგიური პროცესების დროში მიმდინარეობის ხასიათის მიხედვით პროცესები შეიძლება იყოს პერიოდული, უწყვეტი და კომბინირებული.

პერიოდული პროცესი ეს ისეთი პროცესია, როდესაც ადგილი აქვს საბოლოო პროდუქტის მთლიანად ან ნაწილობრივ გადმოტვირთვას შესაბამისი აპარატურიდან გარკვეული დროის პერიოდის შემდეგ. პარატის დაცლის შემდეგ მასში ტვირთავენ საწყისი მასალების ახალ ულფას და ტექნოლოგიური ციკლი მეორდება.

უწყვეტი პროცესის დროს მისი ყველა სტადია დროში უწყვეტად მიმდინარეობს და საბოლოო პროდუქტის გამოღება უწყვეტად მიმდინარეობს.

კომბინირებული პროცესი ან უწყვეტი პროცესია, რომლის ცალკეული სტადიები პერიოდულად მიმდინარეობს ან რომლის ერთი ან რამდენიმე სტადია უწყვეტად ხორციელდება.

უწყვეტ პროცესებს ახასიათებთ მთელი რიგი უპირეტესობები პერიოდულ და კომბინირებულ პროცესებთან შედარებით.

ყოველივე ამის გამო ელექტრონული ტექნიკის წარმოების ტექნოლოგიაში ცდილობენ გადავიდნენ პერიოდული პროცესებიდამ უწყვეტ პროცესებზე.

უკანასკნელ პერიოდში ტექნოლოგოური აპარატურის შესაძლებლობების მნიშვნელოვნად გაზრდისა და ტექნოლოგიური პროცესების დრმა გააზრების გამო შესაძლებელი გახდა ძალიან მაღალი სისუფთავის და კრისტალურად სრულყოფილი მასალების მიღება. განსაკუთრებით პროგრესი შეეხმ იშვიათ მიწა ელემენტებს და მათ შენაერთებს. როგორც ცნობილია იშვიათმიწა ელემენტები ხასიათდებიან მაღალი დნობისა და აორთქლების ტემპერატურებით რაც ხელს უშლიდა მათ გამოყენებას. ამჟამად დამუშავებულია ამ მასალების მაღალი ხარისხით გაწმენდის მეთოდები, რომლებმაც საშუალება შექმნეს მიღებულიყო

უნიკალური თვისებების ხელსაწყოები. ამის მაგალითია ისეთი შენაერთი როგორიცაა სამარიუმის მონოსულფიდი, რომლის ფუძეზეც შექმნილ ტენზოგადამწოდა გააჩნია ისეთი თვისებები, რომლებიც გაცილებით აღემატება ყველა სხვა აქამდე არსებული და გამოყენებული მასალების თვისებებს და ასეთი მაგალითები უამრავია.

1. ნადნობთა კრისტალიზაცია. დეფექტები. მინარევების გავლენა კრისტალიზაციის პროცესზე

ელექტრონულ ტექნიკაში ფართო გამოყენება აქვთ მონოკრისტალუდ მასალებს. ისინი შეიძლება მიღებულ იქნას მყარი ფაზიდან, ორთქლის ან აირადი ფაზიდან ან თხევადი ფაზიდან. პირველ შემთხვევაში კრისტალის გაზრდა დამყარებულია პოლიმორფულ გარდაქმნებზე. ამის მაგალითია რომბული გოგირდის გადასვლა მონოკლინურში, გრაფიტის – ალმასში, თეთრი კალის – რუხში და ა.შ. მონოკრისტალების გაზრდა მყარ ფაზაში შესაძლებელია კრებითი რეკრისტალიზაციის საფუძველზე, რაც გულისხმობს მარცვლის ზომების გაზრდას პოლიკრისტალურ ზოდში მისი გახურებისას დნობის ტემპერატურასთან მიახლოებულ ტემპერატურამდე. მ მეთოდით ზრდიან მრავალი ლითონის მონოკრისტალურ ძაფებს, მაგალითად ვოლფრამისა და მოლიბდენის ძაფებს ვარვარების ნათურებისათვის. ნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება. ძირითად სამრეწველო ტექნოლოგიურ პროცესს წარმოადგენს კრისტალიზაცია აირადი ან ორთქლის ფაზიდან და განსაკუთრებით თხევადი ფაზიდან. განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი და ფართოდ გამოიყენება კრისტალიზაცია თხევადი ფაზიდან.

ორთქლის ან თხევადი ფაზიდან კრისტალის ზრდა სამი ძირითადი სტადიისაგან შედგება:

- 1).არაწონასწორული მდგომარეობის წარმოქმნა – გადაუერება ამ გადაცივება;
- 2). რისტალიზაციის ცენტრების (ჩანასახების) წარმოქმნა;
- 3).მათი წრფივი ზომების გაზრდა – საკუთრივ კრისტალის გაზრდა.

მოცემული პარამეტრებისადმი (ტემპერატურა, წნევა და კონცენტრაცია) არაწონასწორული მდგომარეობის გაჩენა კრისტალური ჩანასახების წარმოქმნის აუცილებელი პირობაა. წონასწორულ პირობებში კრისტალური ჩანასახების თვითნებური გაჩენა წარმოუდგენელია. ეს იმით აიხსნება, რომ ახალი ფორმის ნაწილაკების არსებობის პირობები, რომლებსაც გაჩნიათ საწყისი მცირე ზომები, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან წონასწორულისაგან.

ასე მაგალითად ორთქლის წნევა ძალიან მცირე ზომის წვეთის ზემოთ, გაცილებით მაღალია მსხვილ წვეთებთან შედარებით. ამის გამო წონასწორულ პირობებში ორთქლის ფაზიდან წარმოქმნილი მცირე წვეთი აორთქლდება

ვინაიდან მის ზემოთ წნევა წონასწორულზე მაღალია. მიტომ კონდენსაციის პროცესის დასაწყიბად საჭიროა დიდი გადაჯერება წონასწორულთან შედარებით.

ძალიან მცირე ზომის კრისტალების დნობის ტემპერატურები რამდენადმე დაბალია, ვიდრე მსხვილის. ამდენად ნადნობში კრისტალური ჩანასახების თვითნებული წარმოქმნა მოითხოვს გადაცივებას იმ ტემპერატურებამდე, რომლებიც წონასწორულ ტემპერატურებზე გაცილებით დაბლა ძევს.

გადაცივების ზრდასთან ერთად კრისტალიზაციის ცენტრების რაოდენობა იზრდება გარკვეულ მაქსიმალურ მნიშვნელობამდე, ხოლო შემდეგ მცირდება. ეს აისხება ატომებისა და მოლეკულების ძვრადობის შემცირებით გადაცივების მაღალი ხარისხის გამო. ყოველივე ამის შედეგად მცირდება კრისტალური ჩანასახისათვის საჭირო ატომებისა და მოლეკულების შერწყმის ალბათობა.

გადაცივების ხარისხი აგრეთვე გავლენას ახდენს კრისტალური ჩანასახის ზრდის წრფივ სიჩქარეზე. ადაცივების გაზრდასთან ერთად ჩანასახის ზომები იზრდება, რაც ზრდის მათი შენარჩუნების ალბათობას.. მიაღწევს რა გარკვეულ ზომებს, ჩანასახი იწყებს გადაზრდას კრისტალში.

განვიხილოთ კრისტალების ზრდის პირობები ორთქლის ფაზიდან, ხსნარიდან ან ნადნობიდან. კრისტალის ზრდისას ორთქლის ფაზიდან ორთქლის ატომები ან მოლეკულები ყოვნდებიან მის ზედაპირზე ან ორთქლდებიან მისი ზედაპირიდან. კრისტალის ზედაპირზე ადსორბირებული მოლეკულა ან ატომი გადაადგილდება რა მასზე ცდილობს კავშირი შექმნას მაქსიმალური რაოდენობის ატომებთან, სამ ატომთან. ასეთი ადგილების დაკავება იწვევს კრისტალის ზრდას ტანგენციალური მიმართულებით.

ყველა ადგილის დაკავების შემდეგ კრისტალის ზედაპირი იზრდება სისქით რომლის ზომაც ატომის ან მოლეკულის ზომის ტოლია. შევსებული ზედაპირის შემდგომი ზრდისათვის საჭიროა წარმოქმნას ახალი სამგანზომილებიანი ჩანასახი.

მრიგად კრისტალის წახნაგი იზრდება ტანგენციალური მიმართულებით. თანგენციალური მიმართულებით კრისტალის ზრდის სიჩქარე გაცილებით მაღალია ნორმალური მიმართულებით ზრდის სიჩქარეზე. ოველივე ამის გამო ხდება მაღალი რეტიკულარული სიმკვრივის წახნაგის გამოძევება, რომელსაც მაღალი ნორმალური ზრდის სიჩქარე გააჩნია და კრისტალი შემოისაზღვრება ნელა მზარდი წახნაგებით.

გათვლები აჩვენებენ, რომ მდგრადი ორგანზომილებიანი ჩანასახის წარმოქმნისათვის საჭიროა 20-25%-იანი გადაჯერება. მაგრამ ზოგჯერ კრისტალის ზრდას ადგილი აქვს 1N-იანი გადაჯერების დროსაც. მის მიზეზია ხრახნული დისლოკაციის საფეხურის წარმოქმნა.

ორთქლის ფაზიდან კრისტალის ზრდის დადებითი მხარეა პროცესის დაბალი ტემპერატურები და ზრდის დაბალი სიჩქარეები (მიკრონები საათში). ამ შემთხვევაში წარმოქმნება მცირე რაოდენობის ვაკანსიები და მათ მიერ წარმოქმნილი დეფექტები. მოცულობით კრისტალებში თერმული და მექანიკური დაძაბულობები ამ დროს დიდი არაა, ვინაიდან კრისტალი იზრდება თითქმის თავისუფალ გარემოში – კონტაქტი მცირება.

ორთქლის ფაზიდან კრისტალების ზრდის ნაკლია დაბალი მწარმოებლობა და დროის დიდი დანახარჯები მცირე ზომის კრისტალების მიღების დროსაც კი. ეს მეთოდი გამოსადეგია მხოლოდ მაღალი ორთქლის წნევის მქონე მასალების კრისტალების გასაზრდელად.

ორთქლის ფაზიდან კრისტალიზაციით იღებენ ისეთ მასალებს როგორებიცაა სილიციუმის კარბიდი, $A^{II}B^{VI}$ ტიპის შენაერთები და მყარი ხსნარები.

კრისტალების ზრდის პროცესი ხსნარებიდან ანალოგიურია ორთქლის ფაზიდან ზრდის პროცესის, თუ დაგუშვებთ, რომ გახსნილი ნივთიერების ნაწილაკები იქცევიან ორთქლის ფაზის ატომების ან მოლეკულების მსგავსად. ხსნარიდან კრისტალის ზრდის არსებითი თავისებურებაა მკვებავი მასალის ტრანსპორტირება მზარდი კრისტალის წანაგისაკენ მოცულობითი დიფუზიით.

ხსნარიდან და ორთქლის ფაზიდან გაზრდილი კრისტალები ხასიათდებიან მაღალი სტრუქტურული სრულყოფით – ვაკანსიების მცირე რაოდენობით, რაც თავის მხრივ განაპირობებს დეფექტების სიმცირეს. აგრამ ერთდროულად მათი სისუფთავე ნაკლებია, ვინაიდან ადგილი აქვს გამხსნელის გადასვლას მზარდ კრისტალში.

ხსნარიდან კრისტალების ზრდა ფართოდ გამოიყენება ნახევარგამტარი მასალების ტექნოლოგიაში შლადი ძნელდნობადი შლადი ნაერთებისა და მათი მყარი ხსნარების მოცულობითი კრისტალების მისაღებად.

ნადნობიდან კრისტალიზაცია თავისი მექანიზმით მსგავსია ხსნარიდან კრისტალიზაციის.

ჩანასახის თვითნებური წარმოქმნის მექანიზმს იდეალურად სუფთა მასალაში ჩვენ ზემოთ შევეხეთ. თუ ნადნობში არსებობენ გარეშე მინარეული ჩანართები, რომლებსაც კრისტალიზაციის ცენტრის როლის შესრულება შეუძლიათ, ამ შემთხვევაში არსებითად მცირდება გადაცივების ან გადაჯერების ხარისხი. კრისტალიზაციის პროცესში უხნადი მინარევები მხოლოდ მაშინ აჩქარებენ კრისტალური ჩანასახების წარმოქმნას როდესაც მათი სტრუქტურა და მსგავსია იმ მასალის სტრუქტურის რომლის კრისტალიზაციიაც ხდება.

ჩანასახის თვითნებურ წარმოქმნაზე დიდ გავლენას ახდენს თხევადი მასალის კონტაქტი იმ კონტეინერის კედლებთან, რომლებშიც ხსნარი იმყოფება. კონტეინერის ცალკეული დეტალები (გამონაშვერები, ბზარები და სხვა დეტალები) აქტიურად უწყობენ ხელს ჩანასახების წარმოქმნას. ამა ხელს უწყობს ასევე სხვა ფაქტორებიც: ელექტრული და მაგნიტური ველები, ვიბრაცია და ა.შ.

მრავალი ლითონისათვის ექსპერიმენტალურად დადგენილი მაქსიმალური გადაცივების სიდიდე აღწევს მნიშვნელობას $0,2T_{\text{დ}}^{\text{დ}}$ ($T_{\text{დ}}$ მასალის დნობის ტემპერატურა), მაგრამ რეალურ პირობებში მონოკრისტალების ზრდა ხდება უფრო დაბალი გადაცივებისას, რაც აიხსნება არა ჩანასახების თვითნებური წარმოქმნით არამედ მათზე გარეშე ფაქტორების გავლენით.

მასალაში მინარევების შეყვანამ შეიძლება გამოიწვიოს დნობის ტემპერატურის გაზრდა ან შემცირება, ეს დამოკიდებულია მინარევისა და ძირითადი მასალის ურთიერთქმედების ხასიათზე.

რეალურ კრისტალებში ყოველთვის შეიძლება არსებობდნენ სხვადასხვა დეფექტები, რომლებიც ძირითადად ორი სახისაა: წონასწორული და არაწონასწორული.


წონასწორულ დეფექტებს მიეკუთვნებიან ნულგანზომილებიანი ანუ წერილოვანი დეფექტები, რომლებიც დამოკიდებულია კრისტალის ტემპერატურაზე და ამდენად განიხილებიან კრისტალურ მესერთან სითბურ წონასწორობაში მყოფ დეფექტებად.

მაგრამ ცხადია ეს არ ნიშნავს იმას, რომ დეფექტების რაოდენობა მოცემულ ტემპერატურაზე მუდმივი სიდიდეა. ის განსაზღვრულია წონასწორობის დამყარების სიჩქარით. ფრო ხშირად დეფექტების რაოდენობა წონასწორულზე მეტია.

წერტილოვან დეფექტებს მიეკუთვნება მესრის ყოველგარი დარღვევები რომელიც გამოწვეულია მასალის გახურებით ან აგზებით (ენერგეტიკული დეფექტები) ან კრისტალის აგებულების დამახინჯებით – ატომის არ არსებობა კრისტალის კვანძში ან პირიქით ატომის ჩანერგვით მესრის კვანძებს შორის.


კრისტალის ზედაპირი თავისი აგებულებით განსხვავდება მოცულობისაგან, ვინაიდან მასზე განლაგებული გარე ატომების კავშირები დარღვეულია. ამის გამო ზედაპირი ხასიათდება აირებისა და მინარევების ადსორბციისადმი გაზრდილი აქტივობით. ნახევარგამტარული მასალის ზედაპირის მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს მის ელექტრულ თვისებებზე, მაგალითად ზედაპირულ გამტარობაზე.

უხეშ სამგანზომილებიან ან მოცულობით დეფექტებს მიეკუთვნებიან სიცარიელები, მეორე ფაზის ჩანართები, კრისტალური მოცულობები რომელთა ორიენტაცია განსხვავდება ძირითადი მასალის ორიენტაციისაგან და სხვა.




ნახ.1. წერტილოვანი დეფექტების სახეები: 1 – ვაკანსია; 2 – კვანძთაშორისი ატომი; 3 – დეფექტი ფრენკელის მიხედვით; 4 – ჩანაცვლების მინარეული ატომი; 5 – ჩანერგილი მინარეული ატომი; 6 – უფრო დიდი გალენტობის ჩანაცვლების ატომი

ერთგანზომილებიან ან წრფივ დეფექტებს მიექუთვნებიან დისლოკაციები, რომლებიც, ორი სახისაა სასაზღვრო დისლოკაციები და ხრახნული დისლოკაციები.




სახ.2. სასაზღვრო დისლოკაცია




სახ.3. ხრახნული დისლოკაცია

ორგანზომილებიან ან ზედაპირულ დისლოკაციებს წარმოადგენენ მცირე კუთხიანი საზღვრები, მარცვალთშორის საზღვრები, ორეულები და თვით ზედაპირი.



ნახ. 4. პოლიკრისტალურ მასალაში სხვადასხვანაირად ორიენტირებული კრისტალიტების სქემა.



ნახ.5. პოლიკრისტალური ლითონის მიკროფორმები. მარცვალთშორის საზღვრების გამოვლენილია მჟავით მოწამვლით

2. მაღალი სისუფთავის მასალების კლასიფიკაცია. მათთან მუშაობის წესები

მასალის თვისებებზე დიდ გავლენას ახდენს მისი სისუფთავე. განსაკუთრებით ეს ეხება ნახევარგამტარულ მასალებს, რომლებსაც დიდი გამოყენება აქვთ ელექტრონიკაში. ასე, მაგალითად კარგად გაწმენდილ, საკუთარი გამტარობის გერმანიუმში მინარევის შემცველობა ოთახის ტემპერატურაზე ($298 - 300\text{ K}$) არ უნდა აღემატებოდეს $2,5 \cdot 10^{13}$ ატომს კუბურ სანტიმეტრშ დარიშხანისათვის ეს სიდიდე შეადგენს დაახლოებით $4,5 \cdot 10^{-8}\%$ მასის მიხედვით.

ნახევარგამტარი მასალების ტექნოლოგიის თავისებურებას წარმოადგენს მაღალი სისუფთავის საწყისი მასალების (ლითონი, არალითონები და ნახევარგამტარები) და დახმარე მასალების (რეაქტივები, აირები და ა.შ.) გამოყენება. განსაკუთრებით ყურადღებას მოითხოვს ასევე ასეთ მასალებთან ურთიერთობა (ტრანსპორტირება, შენახვა და ა.შ.) რათა შენარჩუნებულ იქნას მათი თავდაპირველი სისუფთავე.

თეორიულად მასალისა და ქიმიური ინდიგიდის სისუფთავის ცნებები ერთმანეთს ემთხვევა. სუფთა მასალა წარმოადგენს ქიმიურად და და ფიზიკურად ერთგავაროვან მარტივ მასალას ან ქიმიურ ნართს, რომელიც შედგება მხოლოდ ერთი გარკვეული ტიპის ატომებისაგან (იონებისაგან) ან მოლეკულებისაგან და რომლებსაც გააჩნიათ მუდმივი ქიმური ან ფიზიკური თვისებები.

იდეალურად სუფთა მასალა ხასიათდება ქიმიური (მინარეული ატომების არ არსებობა) და ფიზიკური (სტრუქტურული დეფექტების არ არსებობა) სისუფთავით. ღოგორც მინარევები ასე დეფექტები გავლენას ახდენენ მასალის თვისებაზე. ღოგორც წესი, კრისტალური მესრის დამახიჯება გამოწვეულია მყარ ტანში მინარევების არსებობით. თავის მხრივ მინარევები კონცენტრირდებიან მასალის კრისტალური სტრუქტურის დეფექტებთან.

რეალურ პირობებში აბსოლუტურად სუფთა მასალის მიღება შეუძლებელია. რაც ნაკლები რჩება გაწმენდილ მასალაში მინარევი მით უფრო ძნელია მისი მოშორება. ერთდროულად მკვეთრად ეცემა გაწმენდის სიჩქარეც. ამის შედეგად მინარევის ნულოვანი შემცველობის მიღწევა თეორიულად მოითხოვს უსასრულოდ დიდ დანახარჯებსა და დროს. ამდენად სუფთა მასალა რეალურ პირობებში ყოველთვის შეიცავს გარკვეული რაოდენობის მინარევებს და სისუფთავის ცნებაც ფარდობითია.

გერმანელი ქიმიკოსის ნოდაგის პიპოთეზის თანახმად ნებისმიერი შედარებით სუფთა მასალაც კი მინარევის სახით შეიცავს პერიოდული სისტემის ყველა ელემენტს. მართლაც საკმაოდ მაღალი სისუფთავის გალიუმის სულფიდი, მუხტის მატარებელთა კონცენტრაციით $\sim 10^{16}\text{ სმ}^3$ (რაც შეესაბამება მინარევების შემცველობას $10^{-5}\%$ მასის მიხედვით) როგორც მას-სპექტრომეტრულმა გამოკვლევებმა აჩვენეს შეიცავდნენ დაახლოებით 72 მინარევს.

ასეთი დეტალური ანალიზი როგორიცაა, ხანგრძლივი, ძვირადღირებული და შეიძლება შესრულდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამიტომ პრაქტიკაში სუფთა მასალაში ანალიზირდება მხოლოდ გარკვეული რაოდენობის მინარევები – ძირითადად ისინი, რომლებიც მავნე გავლენას ახდენენ თვისებებზე. ძირითადად წარმოების მიერ გამოშვებულ პროცენტიაში ანალიზირდება 15 – 20 ელემენტი.

სუფთა მასალებში მინარევის შემცველობის ან კონცენტრაციის გამოსახატავად სარგებლობები პროცენტებით მასის მიხედვით - მასური %. ხშირად ამ მიზნით სარგებლობები აღნიშვნით ppm (part per million) - ერთი ნაწილი მილიონზე: $1 ppm = 1 \cdot 10^{-6} \%$ (მასის მიხედვით) ან ppb (part per million)

ერთი ნაწილი მილიარდზე: $1 ppb = 1 \cdot 10^{-9} \%$ (მასის მიხედვით).

საერთო სისუფთავის აღსანიშნავად გამოიყენება სიმბოლო N , რომელიც აღნიშნავს ცხრიანების რაოდენობას. მაგალითად, აღნიშვნა $3N$ მიუთითებს, რომ მასალა შეიცავს მასის მიხედვით 99,9% ძირითად მასალას, $5N5$ - 99,9995 % (მასის მიხედვით) და ა.შ. ამ შემთხვევაში სიდიდე N მიიღება 100% - დან გაანალიზებული მინარევების ჯამის გამოკლებით. სისუფთავის ასეთი გამოსახვა აშკარად არასაკმარისია, ვინაიდან არ ასახავს ლიმიტირებული მინარევების რაოდენობას სუფთა მასალაში.

სუფთა მასალები მოითხოვენ მათთან მუშაობის გარკვეული წესების დაცვას, რათა არ მოხდეს მათი დაჭუჭყიანება. ასალის თვისებისაგან გამომდინარე ისინი შეიძლება ინახებოდნენ დარჩილიულ კვარცის, მინის, პოლიეთილენის ამჟღვებში ან ქილებში.

პლასტმასის სახურავი უნდა უზრუნველყოფდეს სრულ ჰერმეტულობას. დარჩილულ ამჟღვებში ძირითადა ინახება ადვილად დაუანგვადი მასალები, მაგალითად დარჩენილი. ამ შემთხვევაში დარჩილგის წინ ამჟღლიდან ამოტუმბავენ ჰაერს ან ავსებენ ინერტული აირით. მაღალი სისუფთავის მასალის ნაჭრების ტარის კედლებთან ხახუნის ასაცილებლად ტარას ავსებენ ნომინალური მოცულობის 90 – 95 % - ით. მ პირობის შესრულება დარჩილიული ამჟღლისათვის შეუძლებელია ვინაიდან დარჩილგისას გახურებამ შეიძლება მასში მყოფი მასალა დააზიანოს, ამიტომ ამჟღლაში მირჩილვის მხრიდან სვამენ სპეციალურ მასალა, რომელიც დარჩილგის შემდეგ ხელს შეუშლის მასალის ხახუნს ტარის კედლებთან.

ამჟღლას ეკრობა ეტიკეტი, როელზედაც დატანილია მონაცემები მასალის შესახებ.

ტარიდან ამოღების შემდეგ სუფთა მასალები მოითხოვენ განსაკუთრებული წესების დაცვას, რომლებიც რეგლამენტირებულია შესაბამისი ინსტრუქციებით. ამ მასალებთან არასწორმა მოქცევამ შესაძლოა ისინი ისე გააჭუჭყიანოს, რომ მათ შემდგომ გამოყენებას აზრი არ ჰქონდეს.

მასალის გაჭუჭყიანების სერიოზული წყაროა სამუშაო შენობაში მყოფი მტვერი და ჰაერი. ალაქის ჰაერი შეიცავს დიდი რაოდენობის ნახშირწყლებს და გოგირდის ნაერთებს, რომელთა კონცენტრაციაც $0,15 \text{ g/m}^3$ შეიცავს. ჰაერში ასევე

ადმონიულია ზეთებისა ორგანული სითხეების ორთქლი. ოთახის პარტია ასევე შეიძლება იყოს ქსოვილების ბოჭკოების კვალი, ლითონებისა და ორგანული მასალების ნაწილაკები, რომელთა წყაროა ტანსაცმელის და ოთახში მყოფი ავეჯის ცვეთა.

წვრილი მტვერი, რომელიც ხასიათდება მაღალი სორბციული თვისებებით, შთანთქავს დიდი რაოდენობით აირებსა და წყლის ორთქლს. ოერმული დამუშავებისას ისინი გამოიყოფიან აპარატურის მოცულობაში და სერიოზულად აჭუჭყიანებენ მასალას.

გაანგარიშებებმა აჩვენეს, რომ ვაკუუმირებული ამპულის შიგა მხარეს დაგროვილი მტვრის მონომოლებულურმა ფენამ შეიძლება გაკუუმის ხარისხი გააუარესოს ორი რიგით. ყოველივე ამის გამო საჭიროა შენობა უზრუნელყოფილი იყოს ისეთი მოწყობილობებით, რომლებიც უწრუნველყოფენ შესაბამის სისუფთავეს. თუ ამის შესაძლებლობა არ არის საჭიროა სპეციალური ბოქსების გამოყენება, რომელთა შიგნითაც ტარდება ყველა საჭირო ოპერაცია.

3. ძირითადი და დამხმარე მასალები. ნახევარგამტარული შენაერთების კომპონენტები და მალეგირებელი ელემენტები

ნახევარგამტარი მასალების ტექნოლოგიაში მალეგირებელ ელემეტებად გამოყენებულ მასალებს გააჩნიათ სხვადასხვა დნობის ტემპერატურები ორთქლის წნევები.

მაღალი სიუსფთავის ალუმინი ფართოდ გამოიყენება მალეგერიბელ ელემეტად. ის ასევე წარმოადგენს კომპონენტს ზოგიერთი ნახევარგამტარული მასალისა და მათი მყარი ხსნარებისათვის. ლექტრონულ ხესაწყოებში მაღალი სისუფთავის გამოიყენება ალუმინი გამოიყენება ელექტრონულ-ხვრელურ კონტაქტებად ელექტრონული გამტარობის მქონე მასალებზე, მიკროსქემების ელემენტების დასამზადებლად, კონდენსატორების ფირფიტებისათვის და ა.შ.

მაღალი სისუფთავის ალუმინი მდგრადია წყალში. კონცენტრირებული აზოტმჟავა ოთახის ტემპერატურაზე ვერ ხსნის მას, ხოლო განზავებული – ხსნის. გოგირდმჟავა სუსტად რეაგირებს ალუმინთან, მარილჟავა კი საერთოდ არ მოქმედებს მასზე. მლდობი და აზოტმჟავას ნარევში ალუმინი ნელა იხსნება. თუმცემი აქტიურად მოქმედებენ ალუმინზე წყალბადისა და წყალში ხსნადი ალუმინატების წარმოქმნით.

ლუმინის ძირითადი ფიზიკო – ქიმიური თვისებებია: დნობის ტემპერატურა – $660,2^{\circ}\text{C}$; სიმკვრივე 20°C - ზე $2,25 \text{ g/cm}^3$.

ტენიან პარტია შენახვისისა და პაერზე გახურებისას ალუმინი იუანგება. მაგრამ მის ზედაპირზე წარმოქმნილი თხელი, მტკიცე ფირი მეტალს იცავს შემდგომი დაუანგვისაგან.

გამდნარი ალუმინი ძალიან აქტიურია – ადვილად იუანგება და რეაგირებს მრავალ ლითონთან და სხვა მასალებთან. ტემპერატურის გაზრდა ზრდის გამდნარი ალუმინის რეაქციის უნარს. ასე მაგალითად 1000°C - ზე ზემოთ ალუმინი

შესამჩნევად რეაგირებს გრაფიტთან და ქვარცთან. ამიტომ კონტეინერის მასალის შერჩევა მაღალი სისუფთავის ალუმინის გასაძნობად სერიოზული ამოცანაა. ამ მიზნით საუკეთესო თვისებები გააჩნიათ ალუნდას და ალუმინის ნიტრიდს.

მაღალი სისუფთავის ბორი ფართოდ გამოიყენება მაღალგირებელ ელემენტად სილიციუმისა და გერმანიუმისათვის, აგრეთვე როგორც ნახევარგამტარული შენაერთის კომპონენტი.

არსებობს ბორის ორი სახის მოდიფიკაცია: ამორფული და კრისტალური. ორის დნობის ტემპერატურაა - 2000°C . ამორფული ბორის სიმკვრივეა 1,73, კრისტალურის 2,34 და თხევადის (დნობის ტემპერატურაზე) $2,08 \text{ g/cm}^3$.

ჩვეულებრივ ტემპერატურებზე ბორი ინერტულია. ის არ რეაგირებს წყალთან, არ იუანგება ჰაერზე და უეთდება სხვა ელემენტებს. მარილმჟავასა და მლდობი მჟავას სხვარები არ რეაგირებენ ბორთან დუდილის დროსაც კი; კონცენტრირებულ და გოგირდმჟავასთან ბორი იუანგება ბორმჟავამდე, ხოლო კონცენტრირებულ ტუტებში ისხნება წყალბადის გამოყოფით, ხოლო კონცენტრირებულ ტუტებში ისხნება წყალბადის გამოყოფით.

მაღალი სისუფთავის ბისმუტი გამოიყენება ნახევარგამტარი მასალების ტექნოლოგიაში ძირითადად როგორც ნახევარგამტარი შენაერთის ან მათი მყარი სხნარების კომპონენტი.

ბისმუტის დნობის ტემპერატურაა 271°C , სიმკვრივე – $10,07 \text{ g/cm}^3$.

ოთახის ტემპერატურაზე ბისმუტი მდგრადია, როგორც ტენიან ასევე მშრალ ჰაერზე. წყალსა და მარილმჟავაში ბისმუტი არ ისხნება, მაგრამ აზოტმჟავასა და კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში კარგად ისხნება.

მაღალი სისუფთავის გალიუმი ნახევარგამტარი მასალების ტექნოლოგიაში გამოიყენება აქცეპტორულ მინარევად და კომპონენტად მრავალი ნახევარგამტარულ შენაერთში და მათ მყარ სხნარებში. ალიუმის დნობის ტემპერატურა დაბალია $28,9^{\circ}\text{C}$, სიმკვრივე – $5,92 \text{ g/cm}^3$.

მაღალი სისუფთავის გალიუმი მდგრადია წყლის მიმართ და კარგად ისხნება მჟავებებში. წვავე ტუტებში ის ნელა ისხნება წყალბადის გამოყოფით.

მშრალ ჰაერზე ოთახის ტემპერატურაზე ბისმუტი არ იუანგება, ხოლო ტემპერატურის გაზრდით იწყება ინტენსიური დაუანგვა, რომელიც ტემპერატურის შემდგომი გაზრდით სულ უფრო ინტენსიური ხდება.

გრაფიტი ნაკლებად სველდება გალიუმით კვარცთან შედარებით.

მაღალი სისუფთავის ინდიუმი ნახევარგამტარი მასალების ტექნოლოგიაში გამოიყენება აქცეპტორულ მინარევად და კომპონენტად მრავალი ნახევარგამტარულ შენაერთში და მათ მყარ სხნარებში. ინდიუმის დნობის ტემპერატურაა $156,4^{\circ}\text{C}$, სიმკვრივე – $7,98 \text{ g/cm}^3$.

თავისი ქიმიური თვისებებით ინდიუმი ახლოსაა გალიუმთან, მაგრამ მისგან განსხვავებით არ ისხნება ტუტებში. ცივ განზავებულ მჟავებებში ინდიუმი სუსტად ისხნება, ხოლო გახურებისას სხნადობა იზრდება.

მაღალი სისუფთავის კადმიუმი ძირითადად გამოიყენება როგორც შენაერთის კომპონენტი და იშვიათად, როგორც მაღალგირებელი მასალა.

კადმიუმის დნობის ტემპერატურაა $320,9^{\circ}\text{C}$, სიმკვრივე 8,17 გ/სმ³.

მშრალ ჰაერზე კადმიუმი იფარება ჟანგეულის მუქი ფენით, მაგრამ ჟანგის ფენა სიღრმეში არ ვრცელდება. ჰაერზე გახურებისას კადმიუმი იუანგება CdO წარმოქმნით.

გამდნარი კადმიუმი მაღალ ტემპერატურებზეც კი არ ხსნის გრაფიტს. მდენად გრაფიტი საუკეთესო საკონტეინერო მასალაა კადმიუმის გასაღილობად.

დარიშხანის დნობის ტემპერატურაა 817°C , სიმკვრივე – 5,73 გ/სმ³.

დარიშხანს ოთახის ტემპერატურაზე გააჩნია შედარებით დაბალი ქიმიური აქტივობა. წყალში ის არ იხსნება. აზოტმჟავაში, მდუღარე ტუტეებში დარიშხანი იუანგება. მარილუავა დარიშხანზე მოქმედებს ძალიან სუსტად.

ჰაერზე შენახვისას დარიშხანი ნელა იუანგება, იფარება რა ჟანგეულის ფენით.

მაღალი სისუფთავის კალა გამოიყენება ნახევარგამტარი მასალების მაღეგირებელ (აქცეპტორულ) მასალად და კომპონენტად ზოგიერთ ნახევარგამტარ შენაერთში. ლექტორონულ ხელსაწყოებში კალას ფართოდ იყენებენ სარჩილავ ნივთიერებად და ელექტროდული შენაერთების ფუძედ.

კალის დნობის ტემპერატურაა $231,9^{\circ}\text{C}$, სიმკვრივე კი – 7,30 გ/სმ³.

ჩვეულებრივ ტემპერატურებზე კალა ძალიან მდგრადი ელემენტია. წყალთან არ რეაგირებს, ხოლო განზავებულ მჟავებში ძალიან ნელა იხსნება . კონცენტრირებულ მარილმჟავასა და აზოტმჟავაში იხსნება ძალიან სწყაფად.

ჰაერზე ოთახის ტემპერატურაზე კალა თითქმის არ იუანგება, რაც იმის შედგია, რომ მის ზედაპირზე წარმოქმნილ ჟანგის ძალიან თხელ ფენას დამცავი თვისება გააჩნია. თემპერატურებზე, რომლებიც გაცილებით აღემატება დნობის ტემპერატურას, კალა შესამჩნევად იუანგება და წარმოქმნის SnO_2 ჟანგს.

აზოტთან და ნახშირბადთან კალა არცერთ ტემპერატურზე არ ურთიერთქმედებს და ამიტომ გრაფიტს იყენებენ საკონტეინერო მასალად მაღალტემპერატურული პროცესების დროს. გარდა ამისა კონტეინერად გამოიყენება ალუნდი, კვარცი და უჟანგავი ფოლადი.

მაღალი სისუფთავის ვერცხლისწყალი გამოიყენება როგორც კომპონენტი ნახევარგამტარულ შესაერთებში და მათ მყარ ხსნარებში. ზოგჯერ ვერცხლისწყალს იყენებენ აქცეპტორულ მინარევად გერმანიუმში.

მყარი ვერცხლისწყლის სიმკვრივე $38,85^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე შეადგენს 13,69 გ/სმ³, ხოლო თხევადის 20°C - ზე 13,55 გ/სმ³. ვერცხლისწყლის დნობის ტემპერატურაა - $38,87^{\circ}\text{C}$.

ვერცხლისწყალი დაბალაქტიური ქიმიური ელემეტია. მასზე ოთახის ტემპერატურაზე არ მოქმედებს განზავებული გოგრდმჟავა და მარილმჟავა, ასევე ტუტეები. გახურებისას ვერცხლისწყალი ადვილად იხსნება აზოტმჟავასა და კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან.

მაღალი სისუფთავის ტყვია გამოიყენება კომპონენტად ნახევარგამტარულ შენაერთებსა და მყარ ხსნარებში, ასევე მაღეგირებელ მინარევებად.

ტყვიის დნობის ტემპერატურაა $327,4^{\circ}\text{C}$, სიმკვრივე – 11,34 გ/სმ³.

130°C - ზე ზემოთ გახურებისას ტყვია იქანგება.

მაღალი სისუფთავის გოგირდი გამოიყენება კომპონენტად ნახევარგამტარულ შენაერთებსა და მათ მყარ ხსნარებში.

გოგირდის დნობის ტემპერატურაა 119°C . გოგირდს გააჩნია ორი მოდიფიკაცია α სიმკვრივით 2.07 g/cm^3 , და β მოდიფიკაცია სიმკვრივით 1.96 g/cm^3 . ირგელი მოდიფიკაცია ყველაზე სტაბილურია: ყველა სხვა ცდილობს გადავიდეს მასში.

გოგირდი აქტიური ელემენტია. გახურებისას ურთიერთქმედებს ლითონების უმრავლესობასთან ქმნის სულფიდებს. მარილმჟავაში იხსნება. აზოტმჟავა და კონცენტრირებული გოგირდმჟავა 300°C - ზე რეაგირებს გოგირდთან და მიიღება ნაერთი SO_2 .

მაღალი სისუფთავის ტყვია გამოიყენება კომპონენტად ნახევარგამტარულ შენაერთებსა და მყარ ხსნარებში. სტიბიუმი ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, რომელიც ფართოდ გამოიყენება დონორულ მინარევებად ნახევარგამტარულ მასალებში.

სტიბიუმის დნობის ტემპერატურაა 630°C , ხოლო სიმკვრივე – $6,69 \text{ g/cm}^3$. წვეულებრივ ტემპერატურებზე არ ურთიერთქმედებს წყალთან.

მაღალი სისუფთავის ტელურს გააჩნია ნახევარგამტარული თვისებები: აკრძალული ზონის სიგანე შედაგენს $0,35 \text{ ევ}$, ელექტროგამტარობა ω თახის ტემპერატურაზე ტოლია – $2 - 4 \text{ } \omega\text{m}^{-1} \text{ cm}^{-1}$, ელექტრონების ძვრადობაა 1700 , ხოლო ხვრელების – $1200 \text{ cm}^{-1}/\text{გ.წ.მ}$, მაგრამ დამოუკიდებლად ის ნახევარგამტარულ ტექნიკაში არ გამოიყენება.

ნახევარგამტარი მასალების ტექნოლოგიაში ტელური გამოიყენება მრავალი ნახევარგამტარული შენაერთების და მათი ხსნარების კომპონენტად.

ტელურის დნობის ტემპერატურაა 450°C , კრისტალური ტელურის სიმკვრივეა $6,25 \text{ g/cm}^3$, ალორფულის – $6,15 \text{ g/cm}^3$. აღსანიშნავია, რომ დნობისას ტელურის მოცულობა იზრდება 15% - ით.

ტელური გოგირდთან შედარებით ნაკლებაქტიურია. ის ხსნება ტუტეებში, ურთიერთქმედებს აზოტმჟავასა და გოგირდმჟავასთან.

ჰაერზე ტელური მდგრადია. ახურებისას ქმნის ტელურის ორჟანგს, რომელიც ძალიან მდგრადია, მისი აორთქლებადობა გაცილებით ნაკლებია თვით ტელურის აორთქლებადობაზე.

მაღალი სისუფთავის წითელი ფოსფორი გამოიყენება ნახევარგამტარ მასალათა ტექნოლოგიაში როგორც ძირითადი კომპონენტი მრავალი ნახევარგამტარული მასალის სინთეზისათვის. წითელი ფოსფორი გამოიყენება დიფუზიური $p-n$ გადასასვლელის შესაქმნელად. წითელი ფოსფორის დნობის ტემპერატურაა 597°C , სიმკვრივე – $2,30 \text{ g/cm}^3$.

წითელი ფოსფორი აქტიური ნივთიერებაა. გახურებისას 260°C - ზე ის ალდება, გააჩნია პიროფორული თვისებები (ხახუნისა და დარტყმისას ალდება).

მაღალი სისუფთავის ცინკი ნახევარგამტარ მასალათა ტექნოლოგიაში გამოიყენება მრავალი ნახევარგამტარული შენაერთის და მყარი ხსნარის კომპონენტად და მაღეგირებელ ელემენტად.

დნობის ტემპერატურა $419,5^{\circ}\text{C}$, სიმკვრივე – $7,13 \text{ g/cm}^3$.

ცინკი აქტიური ელემენტია, კარგად იხსნება ტუტეებსა და მჟავეებში. $600 - 7000^{\circ}\text{C}$ ტემპერატურებზე ცინკი ენერგიულად შლის წყლის ორთქლს. ცინკი ადგილად აღადგენს მრავალ ქლორიდსა და ჟანგულს.

ელექტრონული ტექნიკის მასალების ტექნოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონტეინერის მასალის სწორად შერჩევას. კონტეინერული მასალები ორი სახისაა: დაბალტემპრატურული (გამოიყენება პიდრომეტალურგიულ პროცესებში, მაღალი სისუფთავის მასალებთან ურთიერთობისას, სხვადსხვა მოწამვლის ოპერაციებისათვის, ბოქსების, მილების და სხვა დასამზადებლად) და მაღალტემპერატურული (ტიგელები, ნავები, კამერების კედლები და სხვა).

მოკლედ შევეხოთ საკონტინეირო მასალების თვისებებს.

ორგანული მინა – უფერო, გამჭვირვალე პლასტმასა. დგრადია სპირტის, ზეთის, წყლის და ტუტეების მიმართ, მაგრამ იხსნება არომატულ ნახშირწყლებში, მაგალითად ბენზოლში. გამოიყენება ისეთი მოცულობების დასამზადებლად, რომლებიც მოითხოვენ გამჭვირვალობას.

ვინიპლასტი – პოლიქლორვინილიანი პლასტმასა ნარინჯისფერი შეფერილობის. ქიმიურად უფრო მდგრადია ვიდრე ორგმინა. მაქსიმალური მუშა ტემპერატურა 80°C .

პოლიეთილენი – მაღალმოლექულური პარაფინი. არეგნულად გავს პარაფინს. მდგრადია მჟავეების (გარდა კოცენტრირებული აზოტმჟავისა) და ტუტეების მიმართ. მაღალ ტემპერატურებზე კარგავს მდგრადობას კონცენტრირებული აზოტმჟავას მიმართ. გახურებისას პოლიეთელენი შავდება, კარგავს მექანიკურ სიმტკიცეს.

ფტოროპლასტი – პოლიმერული პლასტმასა. გააჩნია თეთრი ფერი. ძალიან მდგრადია ყველა ცნობილი აგრესიული გარემოს მიმართ.

კვარცის მინა – სილიციუმის ორჟანგი - SiO_2 . გარეგნულად თითქმის არ განსხვადება ჩვეულებრივი მინისაგან. გააჩნია მაღალი ქიმიური მდგრადობა თითქმის ყველა მჟავას მიმართ, გამონაკლისია მლდობი მჟავა.

კვარცს გააჩნია ძაქლიან დაბალი სითბური გაფართოების კოეფიციენტი ($5 \cdot 10^{-7}$ გრად $^{-1}$ ოთახის ტემპერატურაზე და $1,1 \cdot 10^{-8}$ გრად $^{-1}$ 1200°C - ზე), ამიტომ ადგილად იტანს ტემპერატურათა სხვაობებს, ასე მაგალითად 1200°C - მდე გახურებულ კვარცს თუ ჩავუშვებთ ყინულიან წყალში ის არ დაიმსხვრევა. კვარცს გააჩნია ძალიან დაბალი სითბოგამტარობა.

კვარცი მყიფე მასალაა, ტემპერატურის გაზრდისას 1200°C - მდე მისი მექანიკური თვისებები 50 – 60 % -ით იზრდება.

კვარცი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ელექტრონული ტექნიკის მასალების ტექნოლოგიაში როგორც საკონტინეირო, ასევე სამუშაო კამერების საკონსტრუქციო მასალა.

კვარცის დაბალი ქიმიური აქტივობის გამო მისგან მზადდება მრავალი ჭურჭელი რომელშიც ხდება აგრესიული ნივთიერებების დამზადება-შენახვა.

კვარცის მაქსიმალური სამუშაო ტემპერატურაა 1500°C .

გრაფიტი ნახშირბადის ერთ-ერთი ალოტროპიული სახესხვაობაა. ას გააჩნია მაღალი ქიმიური მდგრადობა: მარლმჟავას, გოგირდმჟავას, მლოდობი მჟავას და სხვების მიმართ. რაგალ ორგანულ გამსხველთან, გამდნარ ტუტებთან და უმრავლეს ლითონებთან გრაფიტი არ ურთიერთქმედებს. ამონაკლისია ალუმინი, კოლფრამი, ბორი, სილიციუმი, მოლიბდენი, ტანტალი და სხვა.

მასალათა ტექნოლოგიაში გრაფიტი გამოიყენება წინადობის ღუმელების, მაღალსიხშირული ღუმელების, ეკრანების და სხვა ისეთი ღეტალების დასამზადებლად, რომლებსაც უწევთ მუშაობა მაღალი ტემპერატურის, დაბალი წნევების, ინერტული და აგრესიული აირების ატმოსფეროში. გრაფიტისგან ამზადებენ ტიგელებს, ქიმიურ ჭიქებს, ნავებს და ა.შ. გრაფიტის მაქსიმალური მუშა ტემპერატურაა 2500°C .

ელექტრონული ტექნიკის მასალათა ტექნოლოგიაში გამოიყენება სხვადასხვა სახის აირები როგორც დამხმარე მასალები. ყველაზე ხშირად გამოიყენება წყალბადი, არგონი, ჰელიუმი.

მაღალი სისუფთავის წყალბადი გამოიყენება როგორც მასალების ქლორიდებისა და ჟანგეულების აღმდგენი, როგორც გადამტანი აირი. წყალბადთან მუშაობისას უნდა გვახსოვდეს, რომ გარკვეულ პირობებში მაღალ ტემპერატურაზე ის შეიძლება რეაქციაში შევიდეს ზოგიერთ ელემენტთან და შექმნას აირადი პიდრიდები. წყალბადი ასევე შეიძლება გაიხსნა გამდნარ ლითონში.


მაღალი სისუფთავის არგონი და ჰელიუმი გამოიყენება დამცავ ატმოსფეროდ მონოკრისტალების გაზრდისას. სუფთა არგონი ასევე გამოიყენება სპეციალურ ბოქსებში დამცავ ატმოსფეროდ სუფთა მასალებთან მუშაობისას.

4. მინარევის განაწილების კოეფიციენტის ცნება. მისი სახეები. კავშირი მათ შორის. შხვადასხვა ფაქტორების გავლენა განაწილების წონასწორულ და ეფექტურ კოეფიციენტებზე. ასალის გაწმენდა ნორმალური კრისტალიზაციით. ასალის გაწმენდა ზონური გადაკრისტალებით.

როგორც პრაქტიკაში აჩვენა, მხოლოდ ქიმიური მეთოდებით შეუძლებელია მასალის საჭირო სისუფთავის მიღწევა. გასუფთავებისას გამოყენებული ქიმიური რეაქტივები თვითონ შეიცავენ მინარევის გარკვეულ რაოდენობას და აჭუჭყიანებენ გასაწმენდ მასალას.

ნახევარგამტარი მასალების სისუფთავის გასაზრდელად დამუშავებულ და დანერგილ იქნა გაწმენდის კრისტალიზაციური მეთოდები: ნორმალური მიმართული კრისტალიზაცია და ზონური გადაკრისტალება.

ნორმალური მიმართული კრისტალიზაცია მდგომარეობს შემდეგში: ნავში მოთავსებულ გასაწმენდ მასალას ათავსებენ ცილინდრული ფორმის ღუმელში და მას ადნობენ, შემდეგ ნავი გამოყავთ ღუმელიდან და იწყება მასალის გამყარება ისე, რომ მყარი ფაზა იზრდება და შესაბამისად თხევადი მცირდება ღუმელიდან ნავის გამოსვლასთან ერთად. (ნახ. 6). ამ დროს მინარევები თავს იყრიან გამყარებული ზოდის თავში ან ბოლოში.




ნახ. 6. ნორმალური მიმართული კრისტალიზაციის

პროცესის სქემა:

1 –ღუმელი; 2 – ნავი; 3 – თხევადი ფაზა; 4 – მყარი ფაზა.

ზონური გადაკრისტალების შემთხვევაში (ნახ. 7) ნავში მოთავსებული ზოდის გასწვრივ გადაადგილებენ ცილინდრულ ღუმელს, რომლის სიგანეც რამდენჯერმე ნაკლებია გასაწმენდი ზოდის სიგრძეზე. ღუმელის ტემპერატურა იმდენად მაღალია, რომ ის ქმნის დაახლოებით ზონის სიგანის გამდნარ ზონას, რომლის გადაადგილებაც ზოდის ერთი ბოლოდან მეორისაკენ იწვევს მინარევის გადასვლას ზოდის მარცხენა ან მარჯვენა ბოლოში.



ნახ. 7. ზონური გადაკრისტალების პროცესის სქემა:

1 – ღუმელი; 2 – ნავი; 3 – თხევადი ფაზა; 4 – გადაკრისტალებული ფაზა; 5 – მყარი ფაზა.

მინარევის შემცველობა ზოდში ზონის ყოველი გავლით გარკვეულ ზღვრამდე მცირდება.

ნორმალურმა მიმართულმა კრისტალიზაციამ, მიუხედავად მისი საკმაოდ კარგი ეფექტურობისა, ნახევარგამტარი მასალების გაწმენდის საქმეში ფართო გამოყენება ვერ პპოვა, ვინაიდან ერთი ციკლის შემდეგ საჭიროა კრისტალის გამოღება დანადგარიდან, გაჭუჭყიანებული ნაწილის მოჭრა და სუფთა ნაწილის ნავში ისევ ჩატვირთვა პროცესის გასამეორებლად. ეს აძვირებს გაწმენდის პროცესს და ხელს უწყობს გასაწმენდი მასალის გაჭუჭყიანებას გადატვირთვისა და შემდგომი გადადნობის დროს. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ზონური გადაკრისტალება წარმოადგენს გაწმენდის ფართოდ გავრცელებულ კრისტალიზაციურ მეთოდს, რომელიც მრავალი მასალის დრმა გაწმენდისათვის გამოიყენება.

ნახევარგამტარ მასალათა გაწმენდის აღნიშნული მეთოდები გამოიყენება გასუფთავების საბოლოო სტადიაზე მინარევების ძალზე მცირე რაოდენობის მოსაცილებლად და აგრეთვე მონოკრისტალების გასაზრდელად. ამასთან ერთ პროცესში შეიძლება ჩატარდეს როგორც გაწმენდა ისე მონოკრისტალის გაზრდა. ეს კი მოსახერხებელია ვინაიდან ერთი პროცესიდან მეორეზე გადასვლა, როგორც წესი დაკავშირებულია მასალის გაჭუჭყიანებასთან.

ნახევარგამტარი მასალების გაწმენდის კრისტალიზაციურ მეთოდებს საფუძვლად უდეგთ ძირითადი ნივთიერების თხევად და მყარ ფაზებში მინარევის სხვადასხვა სხნადობა, ამიტომ წონასწორობაში მყოფი თხევადი და მყარი ფაზების შემადგენლობები განსხვავებულია. ეს არის ძირითადი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს მინარევების გადანაწილების შესაძლებლობას ნადნობის გამყარების დროს.

ნადნობის კრისტალიზაციისას მინარევებისაგან მასალის გაწმენდის ეფექტურობის შესაფასებლად გამოიყენება განაწილების კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს მყარ ფაზაში გახსნილი მინარევის კონცენტრაციის შეფარდებას თხევად ფაზაში მინარევის კონცენტრაციასთან.

$$K_0 = \frac{C_{\text{ა}}}{C_{\text{მ}}}, \quad (1)$$

მინარევის კონცენტრაციები ორივე ფაზაში შეიძლება გამოსახულ იქნას სხვადასხვა ერთეულებში % (მასის მიხედვით), % (ატ.) ან %(მოლ.) ინდექსი 0 ნიშნავს, რომ K წონასწორულ პირობებს შეესაბამება და ამიტომ მას განაწილების წონასწორული კოეფიციენტი ეწოდება, განაწილების კოეფიციენტს ზოგადად შეიძლება პქონდეს შემდეგი მნიშვნელობები: α – წონასწორული პირობების შესაბამისი; δ – ერთის ტოლი; γ – კოსა და ერთს შორის. ამასთან ეს სიდიდე შეიძლება იყოს როგორც ერთზე მეტი ისე ერთზე ნაკლები. თუ განაწილების

კოეფიციენტი ერთზე მეტია მაშინ მინარევის ხსნადობა მყარ ფაზაში მეტია მინარევის სხნადობაზე თხევად ფაზაში და ნახ. 1, 2-ზე გამოსახულ შემთხვევებმა მინარევები გროვდებიანი ზოდის მარჯვენა ბოლოში, ხოლო თუ ერთზე ნაკლებია მინარევის ხსნადობა მყარ ფაზაში ნაკლებია მინარევის ხსნადობაზე თხევად ფაზაში და მინარევები გროვდებიან ზოდის მარცხენა ბოლოში. თუ განაწილების კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთის ტოლია მაშინ მინარევების გადანაწილებას საერთოდ არა აქვს ადგილი.

ნადნობის კრისტალიზაციით გაწმენდის პრაქტიკაში განხორციელებულ პროცესში განაწილების კოეფიციენტი იშვიათად აღწევს თავის წონასწორულ მნიშვნელობას, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში მათ შორის განსხვავება ძალიან მცირე შეიძლება იყოს. განაწილების კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს მყარ და თხევად ფაზებში მინარევების კონცენტრაციებს შორის დამოკიდებულებას, კრისტალიზაციის არაწონასწორულ პირობებში (კრისტალიზაციის შედარებით მაღალი სიჩქარე და თხევადი ფაზის არასრული არევა), განაწილების ეფექტური კოეფიციენტი ეწოდება და აღინიშნება K_{eff} სიმბოლოთი.


როგორც ცნობილია, წონასწორულ პირობებში კრისტალიზაცია იმდენად ნელა მიმდინარეობს, რომ ნადნობში გახსნილი მინარევის კონცენტრაცია (C_0) ერთნაირია თხევადი ფაზის მთელს მოცულობაში (ნახ. 8, a), ხოლო გამყარებულ ფაზაში კონცენტრაცია თხევად ფაზაში კონცენტრაციის ზუსტად K_0 ნაწილს შეადგენს. თუ კრისტალიზაცია სწრაფად მიმდინარეობს, ეს დებულება ძალაში არ არის. ამ შემთხვევაში კრისტალიზაციის ფრონტი გადაადგილების დროს გახსნილ მინარევებს უფრო სწრაფად განდევნის, ვიდრე იგი ნადნობის ძირითად ნაწილში მოასწრებს დიფუნდირებას (როცა $K_0 < 1$). ამიტომ კრისტალიზაციის ფრონტის წინ მინარევით გამდიდრებული ბ შრე წარმოიქმნება (ნახ. 8, b). გახსნილი მინარევის კონცენტრაცია აქ ნადნობის ძირითად ნაწილში მინარევის კონცენტრაციაზე მეტია, ამიტომ პირველი და არა მეორე კონცენტრაცია განსაზღვრავს გამყარებულ ნაწილში მინარევის რაოდენობას.

განაწილების ეფექტური და წონასწორული კოეფიციენტები ერთმანეთზე დამოკიდებულია ბარტონის, პრიმის და სლისტერის განტოლებით.

$$K_{\text{eff}} = \frac{K_0}{K_0 + (1-K_0)e^{-\Delta}} \quad (2)$$

სადაც $\Delta = \frac{\delta}{D}$ არის უგანზომილებო სიდიდე, რომელსაც კრისტალიზაციის დაყვანილი სიჩქარე ეწოდება. იგი შეიცავს K_{eff} -ის განმსაზღვრელ სამ ძირითად პარამეტრს: კრისტალიზაციის სიჩქარეს f (სმ/წმ), კრისტალიზაციის ფრონტთან მიმდებარე მინარევით გამდიდრებულ დიფუზიური შრის ბ სისქეს, რომელიც

დამოკიდებულია ნადნობის არევის ხარისხზე. გ იცვლება 10^{-3} სმ-დან (ენერგიული არევის) 10^{-1} სმ-მდე (სუსტი არევის შემთხვევაში) და ნადნობში მინარევის D (სმ $^2/\text{წ}\delta$) დიფუზიის კოეფიციენტს.



- ნახ. 8. კრისტალიზაციის მოძრავი ფრონტის წინ არსებული მინარევის კონცენტრაცია კრისტალიზაციის სხვადასხვა პირობებისათვის:
- ა – წონასწორული პირობები (კრისტალიზაციის სიჩქარე უმნიშვნელო); ბ – კრისტალიზაციის გარკვეული ზღვრული სიჩქარის შემთხვევაში

გაწმენდის ხარისხის გასაზრდელად აუცილებელია განაწილების ეფექტური კოეფიციენტი მაქსიმალურად მივუახლოვოთ წონასწორულს, ამისათვის კი საჭიროა კრისტალიზაციის სიჩქარე f შევამციროთ, მართლაც (2) ფორმულის ანალიზი გვიჩვენებს, რომ

$$\text{როცა } f \rightarrow 0, \quad K_{\text{ავ}} = \frac{K_0}{K_0 + (1-K_0)e^0} = \frac{K_0}{K_0 + (1-K_0)} = K_0 \quad (3)$$

$$\text{როცა } f \rightarrow \infty, \quad K_{\text{ავ}} = \frac{K_0}{K_0 + (1-K_0)e^{-\infty}} = \frac{K_0}{K_0} = 1 \quad (4)$$

თუ ვიცით და K_0 სიდიდეები, შესაძლებელია გამოვთვალოთ $K_{\text{ფ}}\text{-ის}$ მნიშვნელობა, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, ამ სიდიდებს იღებენ ექსპერიმენტების გზით, კრისტალიზაციის კონკრეტულ პირობებში.

გათვლებმა აჩვენეს, რომ ნორმალური მიმართული კრისტალიზაციის პროცესის ჩატარების შემდეგ ზოდის გასწვრივ მინარევის განაწილების განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$C_{\text{გ}} = K_0 C_0 (1 - g_{\text{გ}})^{K_0 - 1} \quad (5)$$

სადაც C_0 არის მინარევის კონცენტრაციის გაწმენდის პროცესის დაწყებამდე და ითვლება, რომ ის მუდმივი სიდიდეა.

$$g_{\text{გ}} = \frac{m_{\text{გ}}}{m_0}$$

სადაც, $m_{\text{გ}}$ არის დაკრისტალებული ზოდის მასა, ხოლო m_0 კრისტალიზაციამდე მასა, ე. ი. გამო გვიჩვენებს დაკრისტალებული მასა კრისტალიზაციამდე მასის რა ნაწილს შეადგენს და მას გამყარებული მასის წილი ეწოდება.


დაკრისტალებული ზოდის გასწვრივ მინარევის განაწილება გათვლილი წონასწორული კოეფიციენტის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის მოცემულია ნახ. 9-ზე. გათვლისას დაშვებულია, რომ მინარევის საწყისი კონცენტრაცია ერთის ტოლია.

როგორც ნახაზიდან ჩანს მრუდების დახრილობა და შესაბამისად გაწმენდის ხარისხი მით უფრო მნიშვნელოვნად იზრდება, რაც მეტად განსხვავდება K_0 ერთისაგან.

ზონური გადაკრისტალების დროს მინარევის განაწილება ზოდის გასწვრივ გამოისახება ფორმულით:

$$C_{\text{გ}} = C_0 [1 - (1 - K_0) e^{-\frac{K_0 X}{\ell}}] \quad (6)$$

ეს განტოლება საშუალებას იძლევა გამოვიანგარიშოთ მინარევის კონცენტრაცია ($C_{\text{გ}}$) ზოდის გამყარებული ნაწილის განივევეთში, ზონის ერთჯერადი გავლის შემთხვევაში, თუ ცნობილია ის ერთნაირია მინარევის საწყისი კონცენტრაცია C_0 (ითვლება, რომ გასაწმენდი ზოდის მთელ სიგრძეზე), განაწილების წონასწორული კოეფიციენტი K_0 და გამდნარი ზონის სიგანე I.




ნახ. 9. მინარევის განაწილება ზოდის გასწვრივ ნორმალური მიმართული კრისტალიზაციის პროცესისათვის (K_0 -ის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის).

ფორმულა სამართლიანია $0 < X < L - l$ ინტერვალში სადაც L არის ზოდის მთლიანი სიგრძე.

ზონური გადაკრისტალების განტოლებით აღწერილი მინარევის კონცენტრაციის განაწილება გასუფთავებულ ზოდში ნაჩვენებია, ნახ. 10-ზე. ნორმალური მიმართული კრისტალიზაციის დროს მინარევის განაწილების მრუდებისაგან განსხვავებით (ნახ. 9) ზონური გადაკრისტალების მრუდებს $K_0 < 1$ შემთხვევაში აქვს ამოზნექილი ფორმა, მაშასადამე ზონის ერთი გავლის შემდეგ გაწმენდის ხარისხი ნაკლები იქნება. პრაქტიკულად ერთჯერადი ნორმალური მიმართული კრისტალიზაცია გაწმენდის ეფექტურობის ოვალსაზრისით გამდნარი ზონის 3-4 გავლის ტოლფასია.

არასაკმაო გაწმენდა, რაც ახასიათებს ზონურ გადაკრისტალებას ერთი გავლის დროს, შეიძლება გამოსწორებულ იქნას პროცესის მრავალჯერადი განმეორებით, ზონის გავლათა რიცხვის ზრდით. სასრული სიგრძის ზოდის გასწვრივ მინარევის კონცენტრაციის განაწილების გამომსახველი საერთო განტოლება ზონის გავლის ნებისმიერი რიცხვისათვის ჯერ არ არის გამოყვანილი.

ნახ. 11 - ზე მოყვანილია ზონური გადაკრისტალების პროცესის ჩატარების შემდეგ ზოდის გასწვრივ მინარევის მიახლოებითი ნაანგარიშევი განაწილება ზონის გავლათა სხვადასხვა რიცხვისათვის. როგორც ნახაზიდან ჩანს ნიმუშის გასწვრივ ზონის მრავალჯერადი გავლის შემდეგ ზოდში მინარევის განაწილება მიისწრაფვის რაღაც ზღვრული მნიშვნელობისაკენ, რომელიც უკვე აღარ იცვლება ზონის შემდგომი გატარებით.




ნახ. 10. ზონური გადაკრისტალების პროცესისათვის ზონის
ერთი გავლის დროს მინარევის განაწილება ზოდის გასწვრივ
(K_0 სხვადასხვა მნიშვნელობისათვის)

ნახაზიდან ჩანს, რომ გამდნარი ზონის 9-ჯერ გატარება იძლევა მინარევის თითქმის საბოლოო განაწილებას. თუ გატარებათა რიცხვი ნაკლებია იმაზე, რაც იძლევა საბოლოო განაწილებას, კონცენტრაციული მრუდები შორდებიან საბოლოო განაწილების მრუდებს. ასე მაგალითად ზონის 5-ჯერ გავლის შემდეგ მინარევის კონცენტრაცია ნიმუშის ბოლო 40%-ზე არსებითად საბოლოო განაწილებას ემთხვევა. მაშინ ნიმუშის საწყის 60%-ზე მინარევის კონცენტრაცია გაცილებით მეტია ზღვრულ მნიშვნელობაზე.

ძალიან ძნელია გათვლილ იქნას გამდნარი ზონის გავლათა რიცხვი, რომელიც საჭიროა მინარევის საბოლოო განაწილების მისა დწევად, ამიტომ გაანგარიშების გასამარტივებლად ხმარობენ შემდეგ მარტივ გამოსახულებას.

$$n=2\frac{L}{\ell}+(1:2)$$



ნახ. 11. მინარევის განაწილება ზოდის გასწვრივ ზონური გადაკრისტალების პროცესისათვის ზონის გავლათა სხვადასხვა რიცხვისათვის $K_0=0,1$ და $l/L=1/5$ მნიშვნელობებისათვის.

1, 2, 3, ... ,9 – ზონის გავლათა რაოდენობა, 10 – ზონის გადაადგილების მიმართულება, 11 – მინარევის საწყისი განაწილება; 12 – მინარევის საბოლოო განაწილება

5. მონოკრისტალების გაზრდა ბრიჯმენ-სტოკბარგერის მეთოდით

თანამედროვე მიკროელექტრონიკაში ნახევარგამტარული ხელსაწყოებისა და იმს დასამზადებლად გამოყენებულ მასალებს წაეყენებათ მთელი რიგი სპეციფიკური მოთხოვნები. პირველ რიგში მინარევების შემცველობა დასაშვები მნიშვნელობის ტოლი უნდა იყოს და მათ უნდა გააჩნდეთ მონოკრისტალური სტრუქტურა. უკანასკნელი მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ პოლიკრისტალურ მასალაში მარცვლებს შორის საზღვარი ძალიან ძლიერ ზეგავლენას ახდენს მუხტის გადამტანების მოძრაობაზე, იწვევს ელექტრული მუხტის ნაკადებში არაკონტროლირებად ცვლილებებს და მკვეთრად აუარესებს ხელსაწყოების მუშაობას. მაგრამ მონოკრისტალიც შეიძლება შეიცავდეს დიდი რაოდენობით დეფექტებს, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს შესაბამისი ხელსაწყოს პარამეტრებზე. ასე მაგალითად, დისლოკაციები ამცირებენ მუხტის ძირითადი გადამტანების ძვრადობას და არაძირითადი გადამტანების სიცოცხლის

ხანგრძლივობას, პ-ი გადასასვლელის უკუდენის სიდიდეს და ა.შ. ამ დეფაქტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა შეიქმნას სათანადო პირობები მონოკრისტალის ზრდის დროს. ეს პირობები დაკავშირებულია ზრდის მეთოდისა და რეჟიმების შერჩევაზე.


მონოკრისტალის გაზრდა შეიძლება ჩატარდეს ნადნობიდან, ორთქლის ფაზიდან ან ნივთიერების შესაბამისი გამხსნელის ხსნარიდან კრისტალიზაციით. ამჟამად მიკროელექტრონიკაში გამოყენებული მასალების მონოკრისტალების მიღება ძირითადად სწარმოებს ნადნობიდან კრისტალიზაციის მეთოდებით. მოკლედ შევეხოთ მათ.

ზემოთ განხილული ნორმალური მიმართული კრისტალიზაციის მეთოდით ნიმუშის გაწმენდის გარდა შესაძლებელია ნახევარგამტარი მასალის მონოკრისტალის გაზრდა. ნორმალური მიმართული კრისტალიზაციით მონოკრისტალის მიღების მეთოდს ბრიჯმენის მეთოდსაც უწოდებენ. ეს მეთოდი ყველაზე მარტივია მიმართული კრისტალიზაციის მეთოდებს შორის და განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მყარ ფაზაში დიფუზიური პროცესები გაძნელებულია, ხოლო ნადნობში იგი საკმაოდ სრულად მიმდინარეობს სპეციალური ზომების მიღების გარეშე.

ცნობილია ბრიჯმენის მეთოდის ორი ვარიანტი: ჰორიზონტალური და ვერტიკალური. ნახ. 12-ზე ნაჩვენებია ვერტიკალური ვარიანტის სქემა.

წაწვეტებული კონუსური თავის მქონე ამპულაში (კონტეინერი), რომელიც დამზადებულია უფრო ძნელდნობადი მასალისაგან ვიდრე გასაზრდელი კრისტალის ნივთიერება, ათავსებენ გასაზრდელი მასალის პოლიკრისტალურ ნატეხებს. ამპულას ამოტუმბავენ და ჰერმეტიზაციის შემდეგ ათავსებენ ღუმელში, რომელსაც ახურებენ ისე, რომ ამპულაში მყოფი მასალა გადნეს. ამის შემდეგ კონტეინერს გადაადგილებენ ისე, რომ ის თანდათან გამოვიდეს, ზედა ღუმელიდან ატმოსფეროში ან მეორე ღუმელში რომლის ტემპერატურაც ნაკლებია გასაზრდელი მასალის დნობის ტემპერატურაზე (ამ შემთხვევაში მეთოდს ხშირად ბრიჯმენსტოკბარგერის მეთოდსაც უწოდებენ). ამ დროს ადგილი აქვს კონტეინერის გაცივებას იმ ბოლოდან, რომელიც გამოვა ზედა ღუმელიდან. კონტეინერის წაწვეტებულ ნაწილში ჩაისახება კრისტალიზაციის ცენტრი, კრისტალიზაციის ფრონტი გადაადგილდება თხევადი ფაზის მიმართულებით და კრისტალი თანდათან დაიკავებს მთელს კონტეინერს.

აღწერილ მეთოდს სიმარტივესთან ერთად გააჩნია დიდი ნაკლიც, კერძოდ მზარდი კრისტალი იმყოფება კონტეინერის კედელთან კონტაქტში და იმის გამო, რომ ნახევარგამტარი მასალების დიდი ნაწილი ხასიათდება არამჭიდრო წყობის სტრუქტურებით (ლითონებისაგან განსხვავებით, ისინი გამყარებისას ფართოვდებიან) გამყარებისას მზარდი კრისტალი აწვება კონტეინერის კედელს და




ნახ. 12. ბრიჯმენ-სტოკბარგერის მეთოდით მონოკრისტალის მიღების სქემა:

- 1 – კონტაქტური; 2 – თხევადი ფაზა; 3 – მყარი ფაზა; 4 – ზედა დუმელი;
5 – ქვედა დუმელი; 6 – ტიხარი

ცხადია თვითონაც განიცდის ასეთივე დაწოლას კედლიდან, ყოველივე ამის გამო კრისტალში წარმოიქმნება მნიშვნელოვანი მექანიკური ძაბვები, რაც იწვევს


კრისტალში სხვადასხვა სახის დეფექტების გაჩენას. უარეს შემთხვევაში შესაძლებელია კრისტალი დაიმსხვრეს კიდვაც. აღწერილი მოვლენა საკმაოდ შერბილებულია ორზონიანი დუმელის გამოყენების შემთხვევაში.

ნახ. 13-ზე ნაჩვენებია ბრიჯმენ-სტოკბარგერის მეთოდით გაზრდილი *DySb* მონოკრისტალის სურათი.



ნახ. 13. ბრიჯმენ-სტოკბარგერის მეთოდით მიღებული *DySb* მონოკრისტალის სახე

ბრიჯმენის მეთოდით თითქმის შეუძლებელია მთელს კონტეინერში ერთი კრისტალის გაზრდა. ნახ. 14 - ზე სქემატურად ნაჩვენებია SnTe ზემოთ მოყვანილი კრისტალის განივავეთი მისი შესაბამისი მომწავლელებით დამუშავების შემდეგ. როგორც ნახაზიდან ჩანს გაზრდილი მასალა შეიცავს სამი სხვადასხვა თრიენტაციის კრისტალს.




ნახ. 14. ბრიჯმენ-სტოკბარგერის მეთოდით გაზრდილი SnTe მონოკრისტალის განივავეთის სახე ქიმიური დამუშავების შემდეგ

6. მონოკრისტალების გაზრდა ჩოხრალსკის მეთოდით

გაცილებით მაღალი ხარისხის მონოკრისტალები მიიღება ნადნობიდან ამოწევის მეთოდით, რომელსაც ჩოხრალსკის მეთოდსაც უწოდებენ (ნახ. 15).

პროცესი ტარდება 1 ჰერმეტულ კამერაში, რომელშიც შექმნილია ვაკუუმი ან ინერტული აირის ატმოსფერო.



ნახ. 15. ჩოხალსკის მეთოდით მონოკრისტალის გასაზრდელი
დანადგარის სქემა:

- 1 – ჰერმეტული კამერა; 2 – გამახურებელი; 3 – ზედა ჭოკი; 4 – ტიგელი;
5 – ნაღნობი; 6 – სადედი; 7 – სარკმელი; 8 – ქვედა ჭოკი

გასაზრდელი მასალა თავსდება ქვედა ჭოკზე დამაგრებულ ტიგელში, რომელიც განთავსებულია 2 გამახურებელი უჯრედის შიგნით, რომლის როლსაც ძალიან ხშირად ასრულებს წინაღობის ღუმელი (მაგ: გრაფიტის გამახურებელი) ან მაღალსიხშირული ინდუქციური გახურების წყარო. 7 ზედა ჭოკის ქვედა ბოლოზე მაგრდება 6 მონოკრისტალური სადედი. როგორც ზედა ისე ქვედა ჭოკს შეუძლია ნებისმიერი მიმართულებით ბრუნვა და გადაადგილება ვერტიკალურად.


პროცესი შემდეგნაირად ტარდება: გულდასმით მოწამლულ, გარეცხილ და გაშრობილ მასალას ჩატვირთავენ ტიგელში და ქვედა ჭოკის მეშვეობით განალაგებენ სახურებელ უჯრედში საჭირო სიმაღლეზე. 7 ზედა ჭოკის ქვედა ბოლოზე დაფიქსირებული სადედი წარმოადგენს მცირე ზომის მონოკრისტალს, რომელიც გამოჭრილია იმ მასალის მონოკრისტალისაგან, რა მასალის გაზრდაც სურთ. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სამეცნიერო შრომები, რომლებშიც აღწერილია შემთხვევები, როცა სადედის მასალა და გასაზრდელი კრისტალის მასალა განსხვავებულია. ყოველივე ამის შემდეგ ახდენენ კამერის ამოტუმბვას

საჭირო ვაკუუმის შექმნამდე. პროცესი შეიძლება ჩატარდეს ვაკუუმში ან ინერტული აირის ატმოსფეროში, ამ უკანასკნელ შემთხვევაში აირი კამერაში შეუავთ ამოტუმბვის პროცესის დასრულების შემდეგ. სახურებელ უჯრედზე სიმძლავრის თანდათანობით გაზრდით ტიგელში მოთავსებულ მასალას ადნობენ და გარკვეული დროის განმავლობაში გადახურებულ მდგომარეობაში აყოვნებენ. ეს აუცილებელია ნადნობის გაწმენდისათვის მათში გახსნილი მინარევებისაგან, ძირითადად უანგეულებისაგან, რომლებიც აუცილებლად ფარავენ ჩატვირთული მასალის ზედაპირს, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული აქროლადი ნაერობისა და მინარევების მონოკრისტალურ სადედზე დაჯდომა, მიზანშეწონილია ნადნობის წინასწარი გახურებისას სადედის მიყვანა გახურებულ ზონაში ნადნობის სარკესთან. მაშინ, როცა ნადნობის სარკე გაიწმინდება, ჩართავენ ტემპერატურის ავტომატური რეგულირების სისტემას, რომელიც ნადნობის ტემპერატურას მიიყვანს იმ დონემდე, რომელიც ცოტათი აღემატება მასალის დნობის ტემპერატურას. სადედს ნელა მიიყვანებ ნადნობის სარკესთან, მასთან კონტაქტის დამყარებამდე და ზედა ჭოკს მაშინვე გააჩერებენ (კონტაქტის მომენტის დამზერა შეიძლება ვიზუალურად ან შეიძლება მისი დაფიქსირება ავტომატური მოწყობილობით). ტიგელის მდებარეობამ გამახურებლის მიმართ, გამახურებლის კონფიგურაციამ და ტიგელის ბრუნვამ უნდა უზრუნველყოს ნადნობში ტემპერატურის სათანადო განაწილება, რომლის დროსაც ყველაზე ციგი წერტილი მოთავსებული იქნება ნადნობის სარკის ცენტრში. ამ წერტილის ტემპერატურა რამდენადმე მაღალი უნდა იყოს მასალის დნობის ტემპერატურაზე. ტიგელის კედლის ტემპერატურა მთელი პროცესის განმავლობაში მასალის დნობის ტემპერატურაზე მაღალი უნდა იყოს, ეს საჭიროა ტიგელის კედლებზე პარაზიტული კრისტალიზაციის თავიდან ასაცილებლად. სადედს და გადახურებულ ნადნობს შორის კონტაქტის დამყარების შემდეგ, სადედი მოდნება და გამყოფი საზღვარი ნადნობი-სადედი მოთავსებული აღმოჩნდება ნადნობის სარკის ზემოთ (ნახ. 16). გამყოფი საზღვრის სიმაღლე დამოკიდებულია ნადნობის გადახურებასა და სადედის გავლით წყლით გაცივებადი ჭოკისაგან სითბოს მოცილების პირობებზე.

ნადნობის ცილინდრული სვეტის მაქსიმალური სიმაღლე მიიღწევა მაშინ, როდესაც ამ სვეტის წონა ტოლია გამყოფ საზღვარზე მოქმედი ზედაპირული და ჭიმულობის ძალების.

$$2\pi R \delta = h \rho_{\text{თხ}} \pi R^2 g \quad (7)$$

სადაც δ არის ზედაპირული დაჭიმულობის კოეფიციენტი, R – ნადნობის სვეტის რადიუსი; h – ნადნობის სვეტის სიმაღლე; $\rho_{\text{თხ}}$ – სითხის სიმკვრივე; g – სიმძიმის ძალის აჩქარება.



ნადნობი

ნახ. 16. გამყოფი საზღვრის მდებარეობა ჩოხატავის მეოთხით
მონოკრისტალის გაზრდის დროს


ჭოკების ბრუნვის მექანიზმის ჩართვის შემდეგ (ტიგელი ნადნობით და სადედი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნავენ), აწარმოებენ ზედა-სადედიანი ჭოკის გადაადგილებას ზემოთ. მონოკრისტალის გაზრდის პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

1. მზარდ კრისტალზე „წელის“ („ყელის“) წარმოქმნა;
2. „დიამეტრზე გასვლა“.

მზარდ კრისტალზე „წელის“ წარმოქმნა საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული შემთხვევით ჩასახული კრისტალების ზრდა (ნახ. 17). გარდა ამისა ამისა „წელი“ ამცირებს სადედში არსებული დისლოკაციების გადასვლის შესაძლებლობას მზარდ კრისტალში.

„დიამეტრზე გასვლა“ ნიშნავს მოცემული ორიენტაციის მქონე მონოკრისტალის გაზრდას საჭირო დიამეტრამდე, რის შემდეგაც ხორციელდება მონოკრისტალის ზრდა. მონოკრისტალის ზრდის სიჩქარე სიდიდით ნაკლებია ვიდრე „წელის“ გამოყვანისას კრისტალიზაციის სიჩქარე.

ნახ. 18-ზე ნაჩვენებია ჩოხატავის მეოთხით გაზრდილი სიTe მონოკრისტალების სახე.



ნახ. 17. ხელსაყრელად ორიენტირებული კრისტალის ზრდის უზრუნველყოფა „ყელის“ წარმოქმნით ჩოხატავსკის მეთოდის

განხორციელებისას:

- 1 – ტიგელი; 2 – „ყელი“; 3 – ხელსაყრელად ორიენტირებული კრისტალი;
4 – ნადნობი; 5 – სადედი

ჩოხატავსკის მეთოდს მონოკრისტალების გაზრდის სხვა მეთოდებთან შედარებით გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები; კრისტალის ფორმირება ხდება თავისუფალ გარემოში, ისე რომ ის არ განიცდის არავითარ მექანიკურ ზემოქმედებას კონტეინერის კედლებისაგან; მზარდი კრისტალის ზომები შეიძლება თავისუფლად შეიცვალოს მოწყობილობის კონსტრუქციის ფარგლებში. ტემპერატურის ცვლილება ნადნობში და გამყოფ საზღვარზე შეიძლება განხორციელდეს ოპერატორის სურვილისამებრ (მაგალითად: ტიგელის მდებარეობის შეცვლით გამახურებლის მიმართ, სხვადასხვა ეკრანების დაყენებით, დამატებითი დუმელების დამონტაჟებით და ა.შ.). კრისტალის ამოწევის და ბრუნვის სიჩქარეები განისაზღვრება ოპერატორის მიერ, რომელსაც საშუალება აქვს ვიზუალურად დააკვირდეს ზრდის პროცესს. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა ერთმანეთთან შედარებულ იქნას ზუსტად ფიქსირებული ზრდის პირობებით მიღებული მონოკრისტალების თვისებები და შერჩეულ იქნას ზრდის ოპტიმალური



ნახ. 18. ჩოხალსკის მეთოდით გაზრდილი SnTe მონოკრისტალების
სახე

პირობები. ყოველივე ზემოთქმულის გამო ჩოხალსკის მეთოდი წარმოადგენს სრულყოფილი სტრუქტურისა და მინარევის თანაბარი განაწილების მქონე მონოკრისტალების მიღების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს.

7. ნახევარგამტარი მასალების ლეგირების ტექნოლოგია

თანამედროვე ნახევარგამტარული ხელსაწყოებისა და ინტეგრალური მიკროსქემების ტექნოლოგიაში ერთ-ერთი ბაზური პროცესია მინარევების კონტროლირებადი შევანა სილიციუმის კრისტალში – ლეგირება.


სილიციუმის ლეგირებას სხვადასხვა მინარევდი ატომებით აწარმოებენ მისი ისეთი ელექტროფიზიკური პარამეტრების შესაცვლელად როგორებიცაა გამტარებლობის ტიპი, კუთრი წინაღობა, მუხტის არაწონასწორული გადამტანების სიცოცხლის ხანგრძლივობა.

პლანარულ ტექნოლოგიაში სილიციუმის ლეგირებისათვის გამოიყენება ორი მეთოდი: მინარევების დიფუზია და მინარევის აჩქარებული იონების ჩანერგვა – იონური იმპლანტაცია. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

7.1. დიფუზიის ცნება. ფიკის კანონები

დიფუზია, უფრო სწორად პეტეროდიფუზია ან ქიმიური დიფუზია წარმოადგენს სითბური მოძრაობის შედეგად მინარევის ატომების თანმომდევნო გადაადგილების პროცესს კრისტალურ მესერში.


ამჟამად ითვლება, რომ მყარ კრისტალურ სხეულებში და მათ შორის ნახევარგამტარებში დიფუზია განპირობებულია მათში წერტილოვანი დეფექტების არსებობით. კრისტალური მესრის ნებისმიერ ატომს შეუძლია შეიძინოს ენერგია, რომელიც მნიშვნელოვნად აჭარბებს ატომების საშუალო კონეტიკურ ენერგიას, გადალახოს მეზობელი ატომების მიერ შექმნილი პოტენციური ბარიერი და გადაადგილდეს თავისი პირველადი წონასწორული მდგომარეობიდან მეორეში. ამასთან თუ კრისტალური მესრის ყველა მეზობელი კვანძი დაკავებულია, მას შეუძლია განთავსდეს მხოლოდ კვანძებს შორის. ე.ი. ერთდროულად ადგილი აქვს თავისუფალი კვანძის-ვაკანსიის და კვანძთაშორის ატომის წარმოქმნას (ნახ. 19, ა) ამ ტიპის დეფექტებს ეწოდება დეფექტები ფრენკელის მიხედვით. კრისტალის ზედაპირზე მყოფმა ატომებმა შეიძლება მიიღონ ისეთი ენერგია, რომ მოწყდნენ ზედაპირს, რის გამოც მათ ადგილზე გაჩნდება ვაკანსიები, რომლებიც შეიძლება შემდგომ გადაადგილდნენ კრისტალის სიღრმეში. დეფექტები თავისუფალი კვანძების – ვაკანსიების სახით ატარებენ შოტკის დეფექტების სახელს. (ნახ. 19, ბ).




ნახ. 19. წერტილოვანი დეფექტები კრისტალებში:

ა – ფრენკელის მიხედვით; ბ – შოტკის მიხედვით

მენდელეევის პერიოდული სისტემის III და V ჯგუფის ელემენტები კონცენტრაციის გრადიენტის არსებობისას კრისტალში გადაადგილდებიან ისე, რომ იკავებენ ვაკანსიების ადგილებს – ე.წ. დიფუზიის ვაკანსიური მექანიზმი (ნახ. 20, ა). ეს მინარევები ქმნიან ჩანაცვლების მყარ სსნარებს. პერიოდული სისტემის სხვა ჯგუფის, მაგალითად I და VII ელემენტებისათვის, დამახასიათებელია დიფუზიის კვანძთაშორისი მექანიზმი. (ნახ. 20, ბ).



ა)



ბ)

ნახ. 20. ნახევარგამტარის კრისტალში მინარევის დიფუზიის
მექანიზმები

დიფუზიის პროცესები აიწერება ფიკის პირველი და მეორე კანონებით.

ფიკის პირველი კანონი ახასიათებს ერთი ნივთიერების ატომების მეორეში შეღწევის სიჩქარეს ამ ატომების დროში მუდმივი ნაკადებისა და მათი კონცენტრაციების გრადიუნტის შემთხვევაში.

$J = -D \text{ grad } N$

(8)

სადაც N არის მინარევის ატომების კონცენტრაცია, J – მინარევის ატომების ნაკადის სიმკვრივე ე.ი. მინარევის ატომების რაოდენობა, რომლებიც დროის ერთეულში გაივლიან ერთეულ ფართში; D – დიფუზიის კოეფიციენტი.

ამ კანონის მიხედვით ოუ რაიმე გარემოში არსებობს მინარევების არათანაბარი განაწილება (კონცენტრაციის გრადიუნტი) ამ შემთხვევაში წარმოიქმნება მინარევის ატომების მიმართული დიფუზიური ნაკადი, რომელიც ცდილობს გაათანაბროს კონცენტრაციები.

მინარევის დიფუზიის სიჩქარე კრისტალის სხვადასხვა კრისტალოგრაფიული მიმართულებებით – სხვადასხვაა ე.ი. ადგილი აქვს ანიზოტროპიას. ჩვეულებრივ პირობებში ეს ანიზოტროპია სუსტია, განსაკუთრებით კუბური სიმეტრიის მესრებში, რომლებსაც ეკუთვნის სილიციუმი. გარდა ამისა იმ ტემპერატურებზე, რომლებზედაც ატარებენ დიფუზიის პროცესს ატომების უპირატესი გადაადგილება ყველაზე „ხელსაყრელი“ მიმართულებით გადაფარულია ბროუნის უწესრიგო სითბური მოძრაობით.

კონცენტრაციის გრადიუნტს მოცულობითი დიფუზიის შემთხვევაში გააჩნია სამი მდგრელი კოორდინატთა დერძების მიხედვით. ოუ დიფუზიის სილრმე გაცილებით ნაკლებია იმ ფართის განივ ზომებზე, რომლებშიც ხდება დიფუზია და დავუშვებთ, რომ დიფუზია მიმდინარეობს მხოლოდ ერთი – X დერძის მიმართულებით, მაშინ ფიკის ერთგანზომილებიან განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$J(x) = -D \frac{\delta N}{\delta x} \quad (9)$$

აქ $\frac{\delta N}{\delta x}$ არის მინარევის კონცენტრაციის გრადიენტი x დერძის მიმართულებით.

ფიკის მეორე კანონი განსაზღვრავს გახსნილი მინარევის დაგროვების სიჩქარეს ნებისმიერ სიბრტყეში, რომელიც მართობულია დიფუზიის მიმართულების. ერთგანზომილებიან შემთხვევაში

$$\frac{\delta N}{\delta t} = \frac{\delta}{\delta x} \left(D \frac{\delta N}{\delta x} \right) \quad (10)$$

სადაც $\frac{\delta N}{\delta t}$ არის დიფუნდირებადი ნივთიერების კონცენტრაციის ცვლილება დროის მიხედვით.

ამ ფორმულაში გათვალისწინებულია დიფუზიის კოეფიციენტის დამოკიდებულება მინარევის კონცენტრაციისაგან. თუ დიფუზიის კოეფიციენტი შეიძლება ჩაითვალოს მუდმივად, მაშინ გვექნება

$$\frac{\delta N}{\delta t} = D \frac{\delta^2 N}{\delta x^2} \quad (11)$$

ეს დაშვება სამართლიანია უმრავლეს პრაქტიკულ შემთხვევაში. დიფუზიის კოეფიციენტი დამოკიდებულია ტემპერატურაზე, შემდეგი თანაფარდობით

$$D = D_0 \exp(-\frac{\Delta E}{kT}) \quad (12)$$

სადაც D_0 არის მუდმივა რომელიც დიფუზიის კოეფიციენტის ტოლია უსასრულოდ მაღალ ტემპერატურაზე; ΔE – დიფუზიის აქტივაციის ენერგია, k -ბოლცმანის კოეფიციენტი $k=8,6167 \cdot 10^{-5}$ ევ/К. Т-აბსოლუტური ტემპერატურა.

წინასწარ დასახული პარამეტრების მქონე სტრუქტურების მისაღებად აუცილებელია ნახევარგამტარში მინარევების განაწილების ხასიათის ცოდნა, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია პროცესის ჩატარების პირობებზე.

არჩევენ დიფუზიის ორ ძირითად შემთხვევას: დიფუზია მინარევის უსასრულო წყაროდან და დიფუზია მინარევის სასრული წყაროდან.

მინარევის უსასრულო წყაროდან დიფუზია შემთხვევაში ნახევარგამტარის მოცულობაში შესული მინარეული ატომების რაოდენობა ტოლია ზედაპირზე

მოსული მინარეული ატომების რაოდენობის. ამ შემთხვევაში განტოლების ამონასსნის საწყისი და სასაზღვრო პირობებისათვის

$$N_{x,t}=0, \text{ როცა } t=0$$

$$N_{x,t}=N_0, \text{ როცა } t>0 \text{ და } x=0$$

აქვს შემდეგი სახე

$$N_{x,t}=N_0 \operatorname{erfc} \frac{x}{2\sqrt{Dt}} \quad (13)$$

აქ erfc წარმოადგენს ცდომილებათა ინტეგრალის ერთამდე დამატების ფუნქციას. X არის მინარევების ნახევარგამტარში შეღწევის სიღრმე.

$$\operatorname{erfc} y = \frac{2}{\sqrt{\pi}} \int_y^{\infty} e^{-\alpha^2} d\alpha \quad (14)$$

$$y = \frac{x}{2\sqrt{Dt}} \quad (15)$$

მინარევის სასრული წეაროდან დიფუზიას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მინარევის საწყისი რაოდენობა თავმოყრილია ნახევარგამტარის ძალიან თხელ ზედაპირულ ფენაში და ტოლია Q , ხოლო გარედან დამატებით მინარეული ატომების მიწოდებას ადგილი არა აქვს. ამ შემთხვევაში საწყისი და სასაზღვრო პირობები ასე ჩაიწერება

$$\left. \begin{array}{l} \text{თუ } t=0 \text{ და } x>0, N_{x,t}=0 \\ \text{თუ } t>0 \text{ და } x \rightarrow \infty, N_{x,t}=0 \\ \text{თუ } x=0 \text{ და } 0 \leq t \leq \infty \frac{dN}{dx}=0 \\ \text{თუ } 0 \leq t \leq \infty \quad \int_0^{\infty} N_{x,t} dx = Q \end{array} \right\} \quad (16)$$

ამ შემთხვევაში დიფუზიის განტოლებების ამონასსნის აქვს სახე

$$N_{x,t} = N_0 \exp\left(-\frac{x^2}{4Dt}\right) \quad (17)$$

$$\text{სადაც,} \quad N_0 = \frac{Q}{\sqrt{\pi Dt}} \quad (18)$$

დიფუზიის პროცესზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. მინარევის დიფუზიის მოვლენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთი ნივთიერების მეორეში

ზღვრულ ხსნადობასთან. ყველა ფაზაში ზღვრული ხსნადობა ეს არის მყარ ტანში ელემენტის კონცენტრაციის მაქსიმალური შესაძლო მნიშვნელობა ნებისმიერ ტემპერატურაზე. მყარ ფაზაში ხსნადობა განსაზღვრავს მოცემული ტიპის მინარევის კონცენტრაციის ზედა ზღვარს. დიფუზანტის მაქსიმალური კონცენტრაცია ნაკლები უნდა იყოს მაქსიმალური ხსნადობის ზღვარზე. დიფუზიის პროცესზე გავლენას ახდენს ნახევარგამტარის კრისტალური სტრუქტურა და ზედაპირის სისუფთავე.

7.2. დიფუზიის ჩატარების ტექნიკა


მას შემდეგ რაც გადასასვლელების შესაქმნელად მინარევის ნახევარგამტარში დიფუზიური შეყვანის პროცესი პირველად იქნა გამოყენებული - დღემდე მიმდინარეობს მისი სრულყოფის პროცესი. ის მიმართულია დიფუზიური ფენების ისეთი ძირითადი პარამეტრების აღწარმოებადობის გასაზრდელად, როგორებიცაა - მინარევის ზედაპირული კონცენტრაცია და სისქე, მათი რეგულირების დიაპაზონი, აგრეთვე ჩატარებული პროცესის საერთო დირექტულების შემცირება.

ხშირად მინარევის ლოკალური დიფუზიის პროცესს ატარებენ ორ სტადიად. პირველად ფირფიტის ზედაპირზე ქმნიან შედარებით თხელ დიფუზიურ ფენას მინარევის მაღალი კონცენტრაციით, ამის შემდეგ ფირფიტას ახურებენ ატმოსფეროში, რომელიც არ შეიცავს მინარევს, ამ დროს ხდება მინარევის გადანაწილება ზედაპირული ფენიდან ფირფიტის სიღრმეში. დიფუზიის ამ მეთოდს გააჩნია უპირატესობა ერთსტადიან დიფუზიასთან შედარებით: უკეთესად ხორციელდება მისაღები დიფუზიური ფენის პარამეტრების კონტროლი და მიკროსქემების აღწარმოებადობა, ვინაიდან წინასწარი პორველი სტადია ტარდება შედარებით დაბალ ტემპერატურაზე და ამიტომ მნიღბავი (დამცავი) ფენა შესაძლებელია უფრო თხელი იყოს ერთსტადიან დიფუზიასთან შედარებით.

ცნობილია დიფუზიური პროცესის ჩატარების ორი მეთოდი: დიფუზია დახურულ მოცულობაში (ბოქს-მეთოდი) და დიფუზია დია მილში.

დახურულ მოცულობაში დიფუზიის პროცესის ჩატარების სქემა ნაჩვენებია ნახ. 21-ზე.


წინასწარ ქიმიურად დამუშავებული კვარცის ამპულის 3 ერთ ბოლოში ათავსებენ სილიციუმის ფირფიტებს 1, რომლებშიც უნდა იყოს შეუვანილი შესაბამისი მინარევი. ამპულის მეორე მხარეს ათავსებენ 2 მინარევის ნატეხებს. ამპულას ამოტუმბავებ და განრჩილავენ, რის შემდეგაც ათავსებენ ღუმელში 4. ღუმელს ახურებენ სათანადო ტემპერატურამდე და აწარმოებენ დიფუზიურ გამოწვას საჭირო დროის განმავლობაში.




ნახ. 21. დახურულ მოცულობაში დიფუზიის პროცესის ჩატარების სქემა:

1 – სილიკოუმის ფირფიტა; 2 – მინარევის წყარო; 3 – კვარცის ამპულა;
4 – ღუმელი

ნახ. 22. (α,δ,β)-ზე ნაჩვენებია ღია მილში დიფუზიის პროცესის ჩატარების სქემები.



ბ)




ნახ. 22. ღია მილში დიფუზიის პროცესის ჩატარების სქემა:

1 – სილიკოუმის ფირფიტა; 2 – მილის გამოსასვლელი; 3 – გადამტანი აირი; 4 – დიფუზიანტი; 5 – ღუმელი; 6 – მილი; 7 – ბარბოტერი; 8 – აირის ნაკადის გამზომი; 9 – ონკანი;

ა – ვარიანტის შემთხვევაში სილიციუმის 1 ფირფიტაზე წინასწარ, რაიმე მეთოდით დააკვთ, მინარევის ფენა, რის შემდეგაც მას ათავსებენ მილში 6 და ამ უკანასკნელში ატარებენ 3 აირს (Ar , N_2 და სხვა) და ახურებენ 5 ღუმელს.

ბ – ვარიანტის განხორციელებისას მინარევის (ფოსფორის) წყაროს წარმოადგენს PCl_3 სითხე 4, რომელიც ჩასხმულია 7 – ბარბოტერში, მასში გადამტანი აირის – $\text{N}_2 \sim 10$ სმ³/წთ გავლისას PCl_3 ორთქლი გადაიტანება 5 ღუმელში. 6 მილში შედის კიდევ აირის ორი ნაკადი: აზოტის ძირითადი ნაკადი 1000 სმ³/წთ სიჩქარით, და უანგბადის ნაკადი ~ 15 სმ³/წთ სიჩქარით. უანგბადის ნაკადი საჭიროა მინარევის უანგეულს წარმოსაქმნელად. მილში სათანადო ტემპერატურაზე მიმდინარეობს შემდეგი რეაქციები



როგორც ვხედავთ რეაქციის შედეგად წარმოქმნება ელემენტარული მინარევი (P) და სილიციუმის ორჟანგი. რეაქციის პროდუქტები და ასევე SiO_2 შენადნობი P_2O_5 -თან ქმნის ფოსფორო-სილიკატურ მინას შემდეგი რეაქციით.



წარმოქმნილი მინა თხელი ფენის სახით ფარავს სილიციუმის ფირფიტის ზედაპირს და იმყოფება რა თხევად მდგომარეობაში, წარმოადგენს მინარევის საშუალებო წყაროს, რომელიც სილიციუმის ფირფიტას მიეწოდება უფრო თანაბრად. გარდა ამისა მინის ფენა სილიციუმის ფირფიტას იცავს აორთქლებისაგან და გარეშე ნაწილაკების მოხვედრისაგან.

მინარევის თხევადი წყაროდან დიფუზიის ნაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ როგორც თვითონ წყაროები ისე რეაქციის პროდუქტები მომწამვლელი ნივთიერებებია.

გ – ვარიანტი ითვალისწინებს მინარევად მყარი წყაროს გამოყენებას. როგორც ნახაზიდან ჩანს ამ შემთხვევაში გამოიყენება ორი ღუმელი 5 რომელთა მეშვეობითაც დამოუკიდებლად იქმნება ორი ტემპერატურული ზონა. მარჯვენა – დიფუზიის ზონაში ათავსებენ სილიციუმის ფირფიტებს 1, ხოლო მარცხენა – წყაროს ზონაში ათავსებენ მინარევის წყაროს, ჩვენს შემთხვევაში P_2O_5 , დიფუზიის ზონაში, რომლის სიგრძეა ~ 300 მმ ქმნიან $900-1100^{\circ}\text{C}$ ტემპერატურას, ხოლო მინარევის წყაროს ზონაში, რომლის სიგრძეა 60 მმ $215-300^{\circ}\text{C}$ ტემპერატურას, უფრო მაღალ ტემპერატურებზე P_2O_5 ორთქლება ძალიან სწრაფად, ხოლო უფრო დაბალზე ადგილი აქვს ცუდ აღწარმოებადობას. მილში 6 ატარებენ აირის ნაკადს ~ 1500 სმ³/წთ სიჩქარით. აირის დანიშნულებაა მინარევის შემცველი ორთქლის გადატანა მინარევის წყაროს ზონიდან დიფუზიის ზონაში სადაც მიმდინარეობს რეაქციები. უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი მეთოდის განხორციელების შემთხვევაში შეუძლებელია უკელა ტექნოლოგიური პარამეტრის საიმედო გაკონტროლება. პირველ რიგში ეს ეხება წყლის ორთქლს, რომელსაც ძლიერ შთანთქავს


ფორფორის ანადრიდი – P_2O_5 . პრაქტიკულად შეუძლებელია მინარევის წყაროს ზონაში წყლის ორთქლის გაუჭუჭყიანებელი P_2O_5 მოთავსება. წყლის ორთქლის არსებობა მინარევის წყაროში მნიშვნელოვნად ზრდის მინარევის Si ფირფიტაზე ზედაპირული კონცენტრაციის ფანტვას, რაც წარმოადგენს მინარევის მყარი წყაროდან დიფუზიის მეთოდის ძირითად ნაკლს. ამ ნაკლისაგან თავისუფალია ზემოთ აღწერილი დიფუზიის მეთოდი ორთქლის ფაზიდან.

8.3 იონური იმპლანტაცია

იონური იმპლანტაცია წარმოადგენს მინარევის იონიზირებული ატომების ჩანერგვის პროცესს მყარსხეულოვან ფუძეშრეში. იონურ იმპლანტაციას დიფუზიასთან შედარებით გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები. ერთ-ერთი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ მინარევის შეყვანა სილიციუმის ფირფიტაზი შესაძლებელია უფრო დაბალ ტემპერატურებზე. ამასთან ჩანერგილი მინარევების განაწილების პროფილი და კონცენტრაცია შესაძლებელია დარეგულირებულ იქნას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. გარდა ამისა იონური იმპლანტაციის დროს მინარევის კონცენტრაცია არ არის შემოსაზღვრული, ისე როგორც ამას ადგილი აქვს დიფუზიის პროცესის განხორციელებისას, როდესაც ეს კონცენტრაცია შემოსაზღვრულია მინარევის ზღვრული ხსნადობით დიფუზიის შესაბამის ტემპერატურაზე.

იონური იმპლანტაციის ნაკლია მინარევის იონის არა დრმა შეღწევა ფუძეშრეში. მაგალითად ბორის და ფოსფორისათვის ის შეადგენს ~0.2-0.4 მკმ. ეს კი აუცილებელს ხდის იონური იმპლანტაციის პროცესის გამოყენებას ლეგირების დიფუზიურ პროცესებთან ერთად.

ნახ. 23 - ზე ნაჩვენებია იონური იმპლანტაციის დანადგარის სქემა.



ნახ. 23. იონური იმპლანტაციის დანადგარის სქემა:

- 1 – მინარევის წყაროს კამერა; 2 – თერმოკათოდი; 3 – მაგნიტური მასანალიზატორი; 4 – სამიზნის კამერა; 5 – სამიზნის ფირფიტა;
- 6 – სამიზნის გამახურებელი.

მინარევის იონების წყაროს წარმოადგენს ვაკუუმური კამერა 1, რომელშიც შექმნილია $1,33 \cdot 10^{-3}$ პა გაიშვიათება. კამერაში ხდება მალეგირებელი მინარევის იონიზაცია. იონიზირებადი ნივთიერებები, რომლებიც შეიცავენ საჭირო მინარევს შესაძლებელია იმყოფებოდნენ მყარ ან აირად მდგომარეობაში. მაგალითად ფოსფორის იონების მისაღებად შესაძლებელია გამოყენებული იუოს P_2O_5 ან PF_5 , ბორის იონების მისაღებად აირი BF_3 . მალეგირებელი მინარევების ორთქლის იონიზაცია ხდება 2 თერმოკათოდის მიერ ემიტირებული ელექტრონებით. დადებითი იონების ექსტრაგირება მათი წარმოქმნის უბნიდან ხდება უარყოფითად დამუხტული მაფოკუსირებელი ზონდით. აჩქარებული და ფოკუსირებული იონების ნაკადი ხვდება 3 მაგნიტური მას-სპექტრომეტრის მაგნიტურ ველში, რომელიც აიძულებს იონებს იმოძრაონ რკალზე რომლის R რადიუსი განისაზღვრება მაგნიტური ველის დაძაბულობით H , ამაჩქარებელი ძაბვით V და იონის მასით M .

$$R = \frac{1}{H} \sqrt{\frac{2MU}{q}} \quad (22)$$

ამრიგად სხვადასხვა მასის იონები იმოძრავებენ სხვადასხვა ტრაექტორიით. თუ იონების თავდაპირველ კონაში ძირითადი მინარევების იონების გარდა, არსებობენ სხვა გარეშე მინარევების იონებიც მოხდება მათი სეპარირება მასის მიხედვით და ძირითადი მინარევის იონები შეიკრიბებიან ერთ კონაში, რომელშიც უკვე გარე მინარევის იონები აღარ იქნებიან. იონების სეპარირება მასის მიხედვით უზრუნველყოფს იონური იმპანტაციის ერთ-ერთ უპირატესობას დიფუზიასთან შედარებით, კერძოდ ჩასანერგი მინარევის ძალიან მაღალ სისუფთავეს. სამიზნის კამერაში 4 გათვალისწინებულია ფუძემრის (სამიზნის) 5 გახურება 6 გამახურებლით.

იონური იმპანტაციის რეჟიმების განსაზღვრისას ძირითადი პარამეტრებია აჩქარებული იონების ენერგია და დასხივების დოზა. თუ იონის მუხტია q , ხოლო ამაჩქარებელი ძაბვა U მაშინ იონის მიერ შეძენილი ენერგია გამოითვლება ფორმულით

$$E = qU, \quad (23)$$

ჩვეულებრივ იონიზაციის ჯერადობა $n=1,2,3$ ამიტომ

$$q=n e \quad (24)$$

სადაც e ელექტრონის მუხტია.

დასხივების დოზა ეს არის სამიზნის ფირფიტის ერთეულოვანი ფართის მაბომბარდირებელი იონების რაოდენობა მოცემულ დროში. ვთქვათ ფირფიტის ერთეულ ფართზე t დროში დაეცა Q სიდიდის მუხტი მაშინ დასხივების დოზა იანგარიშება ფორმულით

$$N = \frac{Q}{q}, \frac{\text{იონი}}{\text{გ}^2} \quad (25)$$

მაგრამ $Q=jt \cdot \frac{q}{\pi r^2}$ (31) სადაც j იონური დენის სიმკვრივეა, ამიტომ

$$N = \frac{jt}{ne}, \frac{\text{იონი}}{\text{გ}^2} \quad (26)$$

ვიცით, რომ $e=1.6 \cdot 10^{-19}$ კ ხოლო პრაქტიკაში Q განზომილებაა $\text{მკგ}/\text{სმ}^2$ მაშინ

$$N = 6.25 \cdot 10^{12} \frac{Q}{n}, \frac{\text{იონი}}{\text{სმ}^2} \quad (27)$$

შევნიშნოთ, რომ იონური იმპლანტაციის დროს ლეგირების პროცესი რეგულირდება იონების ენერგიით (E), ხოლო მინარევების კონცენტრაცია – დასხივების დოზით (N).

იონური იმპლანტაციის დროს იმპლანტირებული იონები მრავალგზის უჯახებიან სამიზნის ატომებს და ელექტრონებს, რის გამოც ისინი კარგავენ თავის ენერგიას და ჩერდებიან. ამ შეჯახებების გამო სამიზნის მასალაში ჩნდება წერტილოვანი დაუქატები და ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია განვითაროს ამორფული უბნებიც კი. გარდა ამისა ლეგირებულ ფენაში მუხტის თავისუფალ მატარებელთა კონცენტრაცია ჩანარებილი იონების კონცენტრაციაზე ნაკლებია, რაც ექსპერიმენტალურად დადგენილია იზოტოპების ჩანარების მეთოდით. ჩანარებილი იონები შესაძლებელია განთავსდნენ როგორც კრისტალური მესრის კვანძებში ისე კვანძთაშორის. მხოლოდ კვანძებში განთავსებული იონები ქმნიან მუხტის თავისუფალ გადამტანებს, მაშინ როდესაც კვანძთაშორის განთავსებული იონები ელექტრულ აქტივობას არ ავლენენ.

იონური ლეგირების შემდეგ გაჩენილი დაფაქტების კონცენტრაციის შესამცირებლად აწარმოებენ ნახევარგამტარული ფირფიტების გამოწვას, რომელიც მდგომარეობს ლეგირებული ფირფიტის გახურებაში გარკვეულ ტემპერატურამდე და ამ ტემპერატურაზე დაყოვნებაში გარკვეული დროის განმავლობაში. გამოწვის ტემპერატურა და ხანგრძლოვობა დამოკიდებულია დასხივების დოზაზე. რაც მაღალია დოზა მით მეტი ტემპერატურაა საჭირო გამოსაწვავად.

8.4. ლეგირებული ფენების მახასიათებლების შესწავლის მეთოდები


ლეგირებული ფენების ძირითადი პარამეტრებია ფენის ელექტროწინაღობა, p -ი გადასასვლელის სიღრმე, მინარევის ზედაპირული კონცენტრაცია.

ლეგირებული ფენის კუთრი წინადობა იზომება ოთხზონდიანი მეთოდით. ამისათვის სილიციუმის ფირფიტის ზედაპირზე ერთი წრფის გასწვრივ ერთნაირ მანძილზე განალაგებენ ოთხ ზონდს. გარე ზონდებში გაატარებენ დენს, ხოლო შიგა ზონდებით ზომავენ ძაბვის ვარდნას კომპენსაციური მეთოდით (ნახ. 24). თუ ლეგირებული ფენა ფირფიტის მხოლოდ ერთ მხარესაა ის გარკვეული მიახლოებით შეიძლება განხილულ იქნას, როგორც უსასრულოდ მცირე სისქისა და შემოსაზღვრული ზომების მქონე ფენა, მაშინ შიგა ზონდებს შორის ძაბვის ვარდნა იანგარიშება ფორმულით

$$U = \frac{IR_s}{2\pi} \left(\ln \frac{2S}{S} - \ln \frac{S}{2S} \right) = \frac{IR_s}{2\pi} (\ln 2 - \ln 0.5) \quad (28)$$

$$R_s = 4.5324 \frac{U}{I} \quad (29)$$


სადაც R_s ფენის კუთრი წინადობაა, S – ზონდებს შორის მანძილი. თუ ფენას შემოსაზღვრული ზომები აქვს, როგორც ამას ადგილი აქვს სილიციუმის რეალური ფირფიტებისათვის ლეგირებული ფენით, რიცხვითი კოეფიციენტი ფორმულაში გაიანგარიშება ნიმუშის გეომეტრიული ზომების გათვალისწინებით.



ნახ. 24. კუთრი წინადობის გაზომვის სქემა ოთხზონდიანი მეთოდით

პ-ი გადასასვლელის სიღრმის დასადგენად ყველაზე ფართოდ გამოიყენება მეთოდი, რომლის არსი მდგომარეობს სილიციუმის ფირფიტაში დახრილი, სფერული ან ცილინდრული შლიფის შექმნასა და შლიფის უბანზე ქიმიური რეაგენტების ზემოქმედებაში, რომლებიც სხვადასხვა შეფერილობას აძლევენ ელექტრონული და ხვრელური გამტარებლობის უბნებს.

ნახ. 25-ზე ნაჩვენებია ფირფიტის განივავეთი დახრილი (ა) და სფერული (ბ) შლიფების შემთხვევაში.



ნახ. 25. ფირფიტის განივავეთი დახრილი (ა) და სფერული (ბ) შლიფის
შემთხვევაში

მცირე $1-5^0$ დახრის კუთხეების მქონე დახრილი შლიფების დამზადება საშუალებას იძლევა გაფართოებულ იქნას საკვლევი დიფუზიური უბანი. ამ შემთხვევაში პ-ი გადასასვლელის სიღრმე იანგარიშება ფორმულით

$$d_0 = dtg \alpha \quad (30)$$

სფერული შლიფის დასამზადებლად იყენებენ ლითონის 30-100 მმ დიამეტრის სფეროს, რომელიც ბრუნავს ლეგირებული ფირფიტის ზედაპირზე ისე, რომ შეხების ადგილს განუწყვეტლივ მიეწოდება აბრაზიული სუსპენშია. წარმოქმნილი სფერული დრმული უფრო დრმა უნდა იყოს ვიდრე პ-ი გადასასვლელის სიღრმე. ამ შემთხვევაში პ-ი გადასასვლელის განლაგების სიღრმე იანგარიშება ფორმულით

$$d_0 = \frac{D^2 - d^2}{4} \frac{1}{2R} \quad (31)$$

p-n გადასასვლელის გამოსავლენ მომწამვლელად ყველაზე ხშირად გამოიყენება ნარევი, რომელიც შედგება კონცენტრირებული მლინით მეტას HF და 0,1% HNO₃-გან. ამ მომწამვლელის გავლენით შლიფის p-ტიპის უბანი მუქდება, ხოლო n-ტიპის ფერს არ იცვლის.

ლეგირებული ფენა შესაძლებელია აპროქსიმირებულ იქნას როგორც კონცენტრაცია მუდმივია ხოლო ფენებს შორის – განსხვავებული. ოთხზონდიანი მეთოდით ზომავენ ზედაპირულ გამტარებლობას ნაი, შემდეგ გადაშლიფავენ ცალკეული ელემენტარული ფენების ერთობლიობა, რომელთა საზღვრებში მინარევების δ მცირე სისქის ფენას და ისევ გაზომავენ ზედაპირულ გამტარებლობას ნ. მუხტის თავისუფალი გადამტანების საშუალო კონცენტრაცია იანგარიშება ფორმულით

$$C_i = \frac{\sigma_{so} - \sigma_s}{e\mu\delta} \quad (32)$$

μ არის მუხტის გადამტანების საშუალო ძვრადობა.

ძვრადობა μ წარმოადგენს მინარევის კონცენტრაციის ფუნქციას ამიტომ (32) ფორმულა უმჯობესია ამოიხსნას არა C_i მიმართ არამედ μC_i მიმართ და C_i უნდა გაითვალოს C_i=f(μC_i) მრუდიდან.

8. სუფთა პოლიკრისტალური სილიციუმის მიღება და მონოკრისტალების გაზრდა. სილიციუმის ეპიტაქსიური პირების მიღება

ელექტრონულ ტექნიკაში ფართოდ გამოიყენება სილიციუმი. შილიციუმი პერიოდული სისტემის მეოთხე ჯგუფის ელემენტია. რისტალდება ალმასის ტიპის კუბურ მესერში. მესრის პარამეტრი შეადგენს 5,4297 Å ოთახის ტემპერატურაზე. შილიციუმის დნობის ტემპერატურა საკმაოდ მაღალია და შეადგენს სილიციუმი პერიოდული სისტემის მეოთხე ჯგუფის ელემენტია. მას გააჩნია ალმასის ტიპის კუბურუ მესერი პარამეტრით 5,49297 Å 20°C ტემპერატურაზე.



ოთახის ტემპერატურზე სილიციუმი ქიმიურად მდგრადია. წყალში არ იხსნება. არ რეგირებს მრავალ მუვასთან., მაგრამ კარგად იხსნება მლინით და აზოგმუვას ნარევში.

სილიციუმი მდგრადია ჰაერზე 900°C - მდე გახურებისას. ამ ტემპერატურაზე ზემოთ ინტენსიურად იქანგება და მიიღება სილიციუმის ორჟანგი.

სუფთა პოლიკრისტალური სილიციუმი მიიღება ორი მეთოდით:

- 1) მისი პალოიდური ნაერთების - ქლორსილანების (სილიციუმის ტემპერატურიდი ან ტრიქლორსილანი) აღდგენა წყალბადით;
- 2). იდრიდების თერმული დაშლით (მირითადად მონოსილანი).

მეთოდების პირველი ჯგუფი აიწერება საერთო ფორმულით:




ეს მეთოდი გამოირჩევა საწყისი მასალების მაღალი სისუფთავით და აპარატურის სიმარტივით. მეთოდის ნაკლია – მცირე გამოსავლიანობა პროცესის ბოლო ეტაპზე თერმული აღდგენა; პროცესისმაღალი ტემპერატურა და საწყისი და საბოლოო პროდუქტების მაღალი კოროზიული აქტივობა. რექაციის შედეგად გამოყოფილი აირადი პროდუქტების გაუვნებლობის აუცილებლობა.

მონოსილანის თერმული დაშლის მეთოდის უპირატესობაა საწყისი პროდუქტის ძალიან მაღალი სისუფთავით მიღების შესაძლებლობა, რაც იმის მიზეზია, რომ ჰიდრიდები ძალიან მცირე რაოდენობის ნაერთებს ქმნიან ელემენტებთან; გარდა ამისა შესაძლებელია რეაქციის ჩატარება შედარებით დაბალ ტემპერატურებზე; მაღალი გამოსავლიანება საბოლოო ეტაპზე – თერმული დაშლა; აპარატურის კოროზიის დაბალი დონე; პერიოდის საბოლოო პროდუქტი არ მოითხოვს სპეციალური ზომების მიღებას.

მეთოდის ნაკლია საწყისი პროდუქტის – მონოსილანის დაბალი გამოსავლიანობა მისი მიღების სტადიაზე. ყოველივე ამის გამო პოლიკრისტალური სილიციუმის დირექტულება გაცილებით მაღალია ვიდრე პირველი მეთოდის შემთხვევაში.

მეთოდის ნაკლია ისიც, რომ მონოსილანს ახასიათებს თვით აალება ჰაერის ჯანგბადთან შეხებისას, რაც ამ მეთოდას აფეთქება საშიშს ხდის. ს ნაკლიარსებითია და ამდენად მეთოდმა ფართო გამოყენება ვერ პპოვა.

რეაქციას შემდეგი სახე აქვს:



ამჟამად პოლიკრისტალური სილიციუმის უდიდესი რაოდენობა მიიღება წყალბადური აღდგენით მისი ჰალოიდური შენაერთებიდან.

შილიციუმის მოცულობითი მონოკრისტალები მიიღება ჩოხრალსკის მეთოდით ან ზონური გადაკისტალებით. ირველი მეთოდი გამოიყენება დაბალ ომიანი (არა უმეტეს 250 ომი · სმ) მონოკრისტალების გასაზრდელად, რომლებსა გააჩნიათ დიდი დიამეტრი (40 მმ და მეტი). მეორე მეთოდს გამოყენება აქვს მაღალომიანი (2000 ომი · სმ და მეტი) შედარებით დაბალი დიამეტრის (30 მმ და ნაკლები).

ჩოხრალსკის მეთოდით გაზრდილი მონოკრისტალები შეიცავენ დაახლოებით 1 – 2 რიგით მეტ ჟანგბადის მინარევებს (დაახლოებით $5 \cdot 10^{17}$ ატ/სმ³) ვიდრე უტიგელო ზონური გადაკრისტალებით მიღებული მონოკრისტალები (დაახლოებით $1 \cdot 10^{17}$ ატ/სმ³). გარდა ამისა უტიგელო ზონური გადაკრისტალება საშუალებას იძლევა

მიღებულ იქმნას ძალიან სუფთა მონოკრისტალები, რომლებიც შეიცავენ არაკონტროლირებადი მინარევების მინიმალურ რაოდენობას, რომლებიც ჩოხალსკის მეთოდის გაზრდისას გადადიან სილიციუმში კვარცის ტიგელიდან.

ჩოხალსკის მეთოდით გაზრდილი მონოკრისტალები კრისტალურად უფრო სრულყოფილები არიან ვიდრე ზონური გადაკრისტალებით მიღებულები. იუხედავად ამისა ზონური გადაკრისტალებით მიღებულ მონოკრისტალებში დისლოკაციების განაწილება უფრო თანაბარია კრისტალის მოცულობაში.

სილიციუმის ეპიტაქსიურმა ფირებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს როგორც ნახევაფაბრიკატების (ფირფიტები $p - n$ გადასასვლელით) ასევე პლანარული ტექნოლოგიით ხელსაწყოებისა და ინტეგრალური სქემების დასამზადებლად.

სილიციუმის ეპიტაქსიური ზრდა მიმდინარეობს სილიციუმის პირფიტაზე. სხვა მონოკრისტალური ნახევარგამტარის ფუძეშრეზე სილიციუმის ეპიტაქსიური ფირების გაზრდის მცდელობამ ნაყოფი არ გამოიღო. შამაგიეროდ სილიციუმის ეპიტაქსიური ფირები კარგად იზრდება საფირონზე, კვარცზე, ალუმინის სამჟანგზე, კორუნდზე, ბერილიუმის ჟანგზე.

სილიციუმის ეპიტაქსიური ფირის მისაღები დანადგარი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან:

I).აირ-ორთქლის მიწოდების სისტემა და რეაქტორისაგან.

რეაქტორი წარმოადგენს კვარცის ან ლითონის რეაქტორს, რომელშიც განლაგებულია უძეშრის სამაგრი, რომელიც ხურდება მაღალი სისშირის დენებით. შამაგრი დაზადებულია მოლიბდენის, გრაფიტის, სილიციუმის ორჟანგის ან სილიციუმის კარბიდისაგან.

9. სუფთა პოლიკრისტალური გერმანიუმის მიღება და მისი მონოკრისტალების გაზრდა. ეპიტაქსიური ფენების მიღება



გერმანიუმი პერიოდული სისტემის მეოთხე ჯგუფის ელემენტია. მას გააჩნია ალმასის ტიპის კუბური მესერი. ოთახის ტემპერატურაზე მესრის პარამეტრი ტოლია $5,49297 \text{ \AA}$, სიმკვრივე კი შეადგენს $5,35 \text{ g/cm}^3$. გერმანიუმის დნობის ტემპერატურა $958,5^\circ\text{C}$.

ოთახის ტემპერატურაზე გერმანიუმი ქიმიურად მდგრადია. წყალში, რომელიც არ შეიცავს ჟანგბადს გერმანიუმი პრაქტიკულად არ იხსნება. მარილმჟავასა და განზავებულ გოგირდმჟავაში გერმანიუმი ასევე არ იხსნება. აზოტმჟავაში ოთახის ტემპერატურაზე გერმანიუმი მნიშვნელოვნად იხსნება.

ყველაზე ხშირად გერმანიუმის ტექნოლოგიისას გამოიყენება ორჟანგი და მონოჟანგი, გერმანიუმის ტეტრაქლორიდი, ასევე ტეტრაიოდიდი, რომელიც გამოიყენება ეპიტაქსიური ფირების მისაღებად.

GeO_2 შეიძლება იყოს როგორც ამორფული ასევე კრისტალური. ამორფული ორჟანგი მიიღება გამდნარი ორჟანგის სწრაფი გაცივებისას. კატალიზატორის არსებობისას ამორფული მდგომარეობა $1000^{\circ}C$ - მდე გახურებისას გადადის კრისტალურ მდგომარეობაში, ხოლო $1035^{\circ}C$ - ზე ტეტრაგონალური მოდიფიკაცია გადადის პექსაგონალურში.

გერმანიუმის პოლიკრისტალების მიღება ხდება მისი ორჟანგის წყალბადით ადგენით. დეაქციებს შემდეგი სახე აქვს:



ეს რეაქციები მიმდინარეობს მიმდინარეობს უწყვეტი მოქმედების მიღის ფორმის რეაქტორებში.


მაღალი სისუფთავის პოლიკრისტალური გერმანიუმის მიღების ძირითადი პირობაა მაქსიმალური სისუფთავის უზრუნველყოფა ყველა ოპერაციის ჩატარებისას. გამოყენებული რეაქტორები დამზადებული უნდა იყოს მაღალი სისუფთავის მასალისაგან. წყალბადი, როგორც მორეაგირე აირი წინასწარ გაწმენდილი უნდა იყოს შესაბამისი მეთოდიკით.

წყალბადით აღდგენილი გერმანიუმის ორჟანგიდან მიღებული პოლიკრისტალური გერმანიუმიდან (კუთრი წინაღობით 20 ომი· სმ) შემდგომში გადის გაწმენდას კრისტალიზაციური მეთოდებით.


გაწმენდის უტიგელო მეთოდმა ვერ პპოვა შესაბამისი გავრცელება დაბალი წარმადობის გამო. ფართოდ გამოიყენება ტიგელიანი მეთოდი, როდესაც გასაწმენდი მასალა თავსდება გრაფიტის ტიგელში, ხოლო ტიგელი კვარცის მილში, რომელიც ამოიტუმბება, აივსება ინერტული აირით, წყალბადისა და ინერტული აირის ნარევით. შემდეგ მაღალსიხშირული ინდუქტორით იქმნება გამდნარი ზონა, რომლის გადაადგილებითაც მიიღწევა გაწმენდის ეფექტი.

ასეთი მეთოდით გაწმენდილი გერმანიუმის პოლიკრისტალიდან ჩოხრალსკის მეთოდით ზრდიან მონოკრისტალს, დანადგარში რომელიც გაწყობილია კვარცის დეტალებით. ყელაზე ხსირად გერმანიუმის მონიკრისტალს ზრდიან [111] მიმართუელებით, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ზრდა ხდება [100] ან [211] მიმართუელებითაც. კრისტალის ზრდის სიჩქარე შეადგენს $0,5 - 2,0$ მმ/წთ. გაზრდილი მონოკრისტალის მასა აღწევს $0,5$ კგ, ხოლო დიამეტრი $30 - 40$ მმ-ია.

ორთქლის ფაზიდან გერმანიუმის ეპიტაქსიური ფირების მიღებამ ისეთი ფართო გავრცელება ვერ პპოვა, როგორც სილიციუმისათვის. მიუხედავად ამისა ამ მიზნით გამოიყენება იგივე მეთოდიკა და აპარატურა როგორიც სილიციუმისათვის.. გერმანიუმის ეპიტაქსიური ფირ მიიღება გერმანიუმის ტეტრაქლორიდის აღდგენით წყალბადით:



როცესის მსვლელობისას შემცირებულ ტემპერატურებზე ნაწილობრივ მიმდინარეობენ რეაქციები:



10. ნახევარგამტარული არაშლადი და შლადი შენაერთების მიღების მეთოდები

ნახევარგამტარული შენაერთები შეიძლება მიღებული იქნას ყველა ცნობილი ქიმიური რეაქციით: შეერთების, ჩანაცვლების, დაშლის, ჟანგვა-აღდგენის და ა.შ. ყველაზე ხშირად გამოიყენება შეერთების რეაქცია, კერძოდ საწყისი, წინასწარ გაანგარიშებული რაოდენობის კომპონენტების შედნობა და შენაერთის შემდგომი კრისტალიზაცია ნადნობიდან. შენაერთების სინთეზის ტემპერატურული რეჟიმები განისაზღვრება იმ კონკრეტული სისტემების მდგომარეობის დიაგრამებიდან, რომელ შიც წარმოიქმნებიან ნახევარგამტარული ფაზები.

იმისდამიხედვით, თუ რა საწყის კომპონენტებთან გააქვს საჭმე, ნახევარგამტარული ნაერთების მიღების ძირითადი მეთოდები დაყოფილია ორ ჯგუფად: პირდაპირი და არაპირდაპირი.

პირდაპირ მეთოდში, პირველად პროდუქტებად, მისაღები ნაერთის ელემენტარულ ფორმაში მყოფ კომპონენტებს იყენებენ, რომლებიც ამა თუ იმ აგრეგატულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამასთან, ნაერთის სინთეზი საწყისი კომპონენტების დიფუზიური ან ქიმიური ურთიერთქმედების შედეგად ხორციელდება.

სინთეზის ისეთ მეთოდს, როდესაც ნახევარგამტარული ნაერთის მიღების დროს ერთ-ერთი კომპონენტი ქიმიურ ნაერთს წარმოადგენს, არაპირდაპირი ანუ ქიმიური მეთოდი ეწოდება.

განვიხილოთ პირდაპირი მეთოდით ნახევარგამტარული შენაერთის მიღება, როდესაც ეს შენაერთი ხასიათდება დისოციაციის დაბალი წნევით (ე.წ. არაშლადი შენაერთი). ამ შემთხვევაში შენაერთის სინთეზი შეიძლება ჩატარდეს ერთ გარკვეულ ტემპერატურაზე და ამიტომ ასეთ სინთეზს ერთტემპერატურულსაც უწოდებენ. ამ მეთოდის განხორციელება მარტივია და ის მდგომარეობს შემდეგში: საჭირო რაოდენობის წინასწარ გასუფთავებულ კომპონენტებს ათავსებენ

კონტეინერში (ამჟღაში), საიდანაც ამოტუმბავენ პაერს და აწარმოებენ სათანადო ტემპერატურაზე შედნობას.

ერთტემპერატურული სინთეზის მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და მარტივი მეთოდია ნახევარგამტარული შენაერთების მიღების მეთოდებს შორის, მისი უპირატესობებია:

1. სინთეზის დროს სტექიომეტრის მიღწევის სიმარტივე (სტექიომეტრიული შემადგენლობა – შემადგენლობა რომელიც შეესაბამება მოცემული შენაერთის ფორმულას);
2. კომპონენტების მინიმალური დანაკარგი;
3. გამოყენებული აპარატურის სიმარტივე;
4. კომპონენტის სიჭარბისა და გარეშე ნივთიერებების არ არსებობა, რაც უზრუნველყოფს მიღებული მასალის მაღალ სისუფთავეს.


მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მეთოდს გააჩნია მთელი რიგი, ზოგიერთ შემთხვევაში სერიოზული, ნაკლოვანებები.

1. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ დაბალი აქროლადობის მქონე კომპონენტებიდან შენაერთების მისაღებად, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპონენტების მაღალმა აქროლადობამ შეიძლება გამოიწვიოს შემადგენლობის მნიშვნელოვანი გადახრა სტექიომეტრიდან;
2. ამ მეთოდით ძნელია იმ შენაერთების სინთეზი, რომლებიც წარმოიქმნებიან პერიტექტიკური რეაქციით.
3. ამ მეთოდით გაძნელებულია და ზოგჯერ შეუძლებელიც კი, ძნელდნობადი ფაზების მიღება, რადგან სინთეზის განხორციელებისათვის აუცილებელია კომპონენტების გახურება დნობის ტემპერატურაზე მაღლა. სიძნელე დაკავშირებული სპეციალური გამახურებლების გამოყენებასა და კონტეინერის მასალის შერჩევასთან.

პირდაპირი ერთტემპერატურული სინთეზის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ ნახევარგამტარული შენაერთების სინთეზისათვის, რომელთა შემადგენლობა პრაქტიკულად დამოკიდებული არაა წნევისგან. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მეთოდი ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას შენაერთის მისაღებად მაღალი აქროლადობის მქონე კომპონენტებიდანაც, ოდონდ იმ პირობით, რომ შენაერთის დისოციაციის წნევა გაცილებით ნაკლებია ვიდრე კომპონენტების ორთქლის წნევა იმავე ტემპერატურაზე და აღწევს არაუმეტეს 0,1 ატმ. ამ დროს კომპონენტების გახურება უნდა მიმდინარეობდეს ფრთხილად ისეთნაირად, რომ ტემპერატურის ზრდის სიჩქარე არ აღემატებოდეს კომპონენტებს შორის რეაქციის სიჩქარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება კონტეინერი გასკდეს.

ერთტემპერატურული სინთეზის მეთოდით შესაძლებელია ისეთ ფართოდ ცნობილი შენაერთების სინთეზი, როგორიცაა InSb, GaAs, Bi2Te3 და სხვა.

ნახ. 26 -ზე ნაჩვენებია ერთტემპერატურული სინთეზის დანადგარის სქემა.



ნახ. 26. ერთგემპერატურული სინთეზის დანადგარის სქემა:

1 – ღუმელი; 2 – კვარცის მილი; 3 – კონტეინერი ჩანატვირთით; 4 – თერმოწყვილი; 5 – თერმო ემბ-ს გამზომი ხელსაწყო; 6 – ძაბვის რეგულატორი

კვარცის ამპულას (კონტეინერს) რომელსაც გააჩნია ცილინდრული ფორმა წინასწარ დაამუშავებენ აზოტმჟავასა და მარილმჟავას ნარევით, გარეცხავენ დისტილირებული წყლით და გასაშრობ კარადაში გააშრობენ $100\text{--}150^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე. ამპულის კედლის სისქე უნდა შეადგენდეს 1,5-3მმ, დიამეტრი – $\sim 10\text{--}20$ მმ, სიგრძე – 15-20სმ. მაღალი სისუფთავის საწყის კომპონენტებს საჭირო რაოდენობით, რომელიც წინასწარ გაიანგარიშება სტექიომეტრიისა და მისაღები შენაერთის რაოდენობის გათვალისწინებით, ათავსებენ ამპულაში და ამპულას ამოტუმბავენ $\sim 10^{-3}$ მმ. ვწყებ რის შემდეგაც ამპულას განრჩილავენ და ათავსებენ სინთეზის დანადგარის ღუმელში. ღუმელის ტემპერატურას ზრდიან გარკვეული რეჟიმით, რომელიც დამოკიდებულია კომპონენტების აქროლადობასა და რეაქციის სიჩქარეზე. InSb შემთხვევაში ამპულას ახურებენ 650°C -მდე დაახლოებით 1,5-2 სთ-ის განმავლობაში. ამ ტემპერატურის მიღწევის შემდეგ ღუმელს სპუციალური მექანიზმით მოიყვანება რხევით მოძრაობაში კომპონენტების კარგი შერევის უზრუნველსაყოფად, ეს ოპერაცია ყოველ 10-15 წთ-ის ინტერვალით უნდა განმეორდეს. სინთეზის პროცესის ხანგრძლივობაა $\sim 4\text{--}5$ სთ. რის შემდეგაც ღუმელს აცივებენ 1,5სთ-ის განმავლობაში $\sim 500^{\circ}\text{C}$ -მდე. უფრო სწრაფი გაცივებისას InSb ზოდის ზედაპირზე წარმოიქმნებიან დენდრიტები და „ნემსები“, რაც დაკავშირებულია სწრაფი გაცივებისას კრისტალური ბლოკების მიერ ზოდის ზედაპირზე იმ ნადნობის გამოძევებისაგან, რომელმაც ვერ მოასწრო გამყარება. ამის შემდეგ ღუმელს გამორთავენ და სისტემა ცივდება თავისით.

თუ დისოციაციის დაბალი წნევის მქონე შენაერთის მისაღებად საკმარისია მხოლოდ ტემპერატურის კონტროლი, დისოციაციის მაღალი წნევის (შლადი შენაერთი) მქონე შენაერთის მისაღებად საჭიროა როგორც ტემპერატურის, ასევე წნევის კონტროლი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოცემული შემადგენლობის მქონე შენაერთის მიღება შეუძლებელია. ტემპერატურისა და წნევის დამოუკიდებელი რეგულირება და კონტროლი შესაძლებელია სინთეზის ე.წ. ორტემპერატურული მეთოდის საშუალებით. ამ მეთოდში არააქროლადი კომპონენტი მოთავსებული უნდა იყოს ორტემპერატურული ღუმელის უფრო მაღალი T_1 ტემპერატურის მქონე ზონაში, ხოლო აქროლადი – დაბალტემპერატურული T_2 ტემპერატურის ზონაში ($T_1 > T_2$). ჩვეულებრივ T_1 10-20°C-ით მაღალი უნდა იყოს მისაღები შენაერთის დნობის ტემპერატურაზე. დამყარებული ტემპერატურული რეჟიმის დროს აქროლადი კომპონენტი აორთქლდება რა T_2 ტემპერატურაზე, შთაინთქმება გამდნარი (ან მყარი) არააქროლადი კომპონენტით. ნადნობის შემადგენლობა განისაზღვრება T_1 ტემპერატურით და სისტემაში წნევის მნიშვნელობით, რომელიც თავის მხრივ რეგულირდება T_2 ტემპერატურით. T_2 ტემპერატურის საშუალებით სისტემაში წნევის კონტროლირებადი რეგულირებისათვის უნდა ვიცოდეთ აქროლადი კომპონენტის ნაჯერი ორთქლის წნევის დამოკიდებულება ტემპერატურაზე.

ორტემპერატურული მეთოდის დადებითი მხარეებია:

1. ისეთი შენაერთების სინთეზის შესაძლებლობა, რომლებიც ხასიათდებიან დნობის ტემპერატურისა და დისოციაციის წნევების მაღალი მნიშვნელობით;
2. ამ მეთოდით შესაძლებელია პერიტექტიკური ფაზებისა და ისეთი შენაერთების სინთეზი, რომლებსაც მყარ ფაზაში გააჩნიათ ფაზური გარდაქმნა;

მეთოდის ნაკლოვანი მხარეებია:


1. წნევა – ტემპერატურა – შემადგენლობის დიაგრამების ცოდნა, რომლებიც ამჟამად ცნობილი არაა ყველა სისტემისათვის;
2. წნევა – ტემპერატურა – შემადგენლობის დიაგრამების ცოდნა წარმოადგენს აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას ორტემპერატურული სინთეზის ჩასატარებლად. გარდა თერმოდინამიკური პარამეტრებისა (P,t) მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კინეტიკური პარამეტრებიც.

ორტემპერატურული სინთეზის მეთოდით იღებენ ისეთ ცნობილ ნახევარგამტარულ შენაერთებს, როგორებიცაა InAs, CuP₂ და სხვა.

გავეცნოთ ორტემპერატურული სინთეზის მეთოდს InAs მაგალითზე. დანადგარის სქემა მოცემულია ნახ. 27 - ზე.

კვარცის ამპულას რომლის კედლის სისქე 3-4 მმ-ია, შიგა დიამეტრი 10-20 მმ წინასწარ დაამუშავებენ ისე, როგორც ზემოთ იყო აღწერილი. წინასწარ გაანგარიშებული რაოდენობის In და As ნატეხებს ათავსებენ ამპულის საწინააღმდეგო ბოლოებში. ანგარიშის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს As ნაჭარბი, რომელიც საჭიროა ამპულაში წნევის შესაქმნელად. ანგარიშს აწარმოებენ მენდელეევ-კლაპეირონის განტოლებით, ითვალისწინებენ რა ამპულის მოცულობას

და სინთეზის ტემპერატურას. ანგარიშის ჩატარებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ As ორთქლის შემადგენლობაა As₄. ამპულას მიუერთებენ ვაკუმურ პოსტს და შექმნიან $\sim 10^{-3}$ მმ.ვწყ.სვ გაიშვიათებას, რის შემდეგაც მას განრჩილავენ. ამპულას ათავსებენ ორზონიან ღუმელში ისე, რომ As მოთავსებული იყოს „ცივ“ ზონაში, ხოლო In – „ცხელში“. „ცივი“ ზონის ტემპერატურაა – 565°C , ხოლო „ცხელის“ – 950°C . ამ ტემპერატურაზე As ორთქლის წნევა ტოლია InAs დისოციაციის წნევისა (0,33 ატმ). იმის გამო, რომ ურთიერთქმედებას ადგილი აქვს In ნადნობში, წონასწორობა მყარდება საკმაოდ სწრაფად. In და As სინთეზისათვის საკმარისია 1-2 სთ. ამის შემდეგ „ცხელი“ ზონის ტემპერატურას 0,5-1 სთ-ის განმავლობაში ამცირებენ 600°C -მდე, ხოლო შემდეგ „ცივი“ ზონის ტემპერატურას – $300 - 350^{\circ}\text{C}$ -მდე და შემდეგ ნელა ამცირებენ ორივე ღუმელის ტემპერატურას ოთახის ტემპერატურამდე.



ნახ. 27. ორტემპერატურული სინთეზის დანადგარის სქემა:

- 1 – მაღალტემპერატურული ღუმელი; 2 – დაბალტემპერატურული ღუმელი;
- 3 – კვარცის მიღლი; 4 – თერმოწყვილები; 5 – დარიშხანი (As); 6 – ინდიუმი (In); 7 – კვარცის ამპულა

11. სხვადასხვა მასალების თხელი ფირების მიღების ტექნოლოგია


ინტეგრალური მიკროსქემების დამზადების თანამედროვე ტექნოლოგიაში ფართო გამოყენებას პოულობენ თხელი ფირები (სისქით 5 მკ-დე). ისინი ასრულებენ მრავალრიცხოვან ფუნქციას. ნახევარგამტარულ იმს-ში თხელი დიელექტრიკული ფირები გამოიყენებიან როგორც მნიღბავი დანაფარები ლოკალიზებული ლეგირებული უბნების მისაღებად. ისინი ასრულებენ დაცვის ფუნქციასაც, იცავენ

ပ-ၤ გადასასვლელის გამოსავალს სილიციუმის ფირფიტის ზედაპირზე გარემოს ზემოქმედებისაგან სქემის დამზადების ყველა ეტაპზე. შემდგომში დამცავი ფენები უზრუნველყოფენ იმს ელექტრული პარამეტრების სტაბილურობას ექსპლოატაციის პროცესში. იმს-ში დიელექტრიკული ფენები ხშირად ასრულებენ საკეტის იზოლატორის როლს. ლითონების თხელი ფირები იმს-ში გამოიყენებიან როგორც საკონტაქტო უბნები.

ამჟამად ცნობილია თხელი ფირების მიღების მრავალი მეთოდი: ვაკუუმურ-თერმული დაფენა, იონურ-პლაზმური დაფენა და ა.შ. თითოეულ ამ მეთოდს გააჩნია თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები, რომლებიც განპირობებულია ფირის მასალით და დანიშნულებით.

11.1. თხელი ფირების მიღება ვაკუუმურ-თერმული აორთქლების მეთოდით

ვაკუუმურ-თერმული აორთქლების მეთოდით ფირის დაფენის პროცესი სხვადასხვა ფუძეშრეზე შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: ვაკუუმში ნივთიერების აორთქლება და აორთქლებული მასალის კონდენსაცია ფუძეშრეზე. დაფენის პროცესის სქემა ნაჩვენებია ნახ. 28 -ზე.




ნახ. 28. ვაკუუმურ-თერმული აორთქლების მეთოდით თხელი ფირების დაფენის სქემა:

1 – ვაკუუმური კამერა; 2 – ფუძეშრის სამაგრი – გამახურებელი; 3 – ფუძეშრის საყრდენი; 4 – ამაორთქლებელი; 5 – ასაორთქლებელი მასალა; 6 – საყრდენი ფილა; 7 – საფარი; 8 – ფუძეშრე

ვაკუუმური ქამერის 1 შიგნით დამონტაჟებულია ფუძეშრის 2 სამაგრო-გამახურებელი 3, დასაფენი მასალის 5 ამაორთქლებელი 4, საფარი 7, რომელიც ისენება მაშინ, როდესაც ქამერის შიგნით დამყარებულია ყველა საჭირო ტემპერატურული რეჟიმი და იკეტება დაფენის პროცესის დამთავრების შემდეგ.


ფირის დაფენის პროცესის სწორად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამაორთქლებლის კონსტრუქციას. ნახ. 29-ზე მოყვანილია მავთულისა და ლითონის კილიტისაგან დამზადებული ნავისებური ამაორთქლებლის სახეები. მავთულის გამახურებელს ძირითადად ამზადებენ ვოლფრამისაგან, ხოლო ნავისებურს ტანტალის ან მოლიბდენის კილიტისაგან.



ნახ. 29. მავთულის და ლითონის კილიტისაგან დამზადებული
ამაორთქლებები:

ა - მარყუჟის მაგგარი; ბ - სპირალური; გ - კალათის მაგგარი; დ - კილიტის ჩაღრმავებული; ე - კილიტის ჩაღრმავებული Al_2O_3 დანაფარით; ვ - ნავისებური


ვაკუუმურ-თერმული აორთქლების პრაქტიკაში ძალიან ფართო გამოყენება ჰპ. ტიგელიანმა ამაორთქლებლებმა, (ნახ. 30), რომლებიც საშუალებას იძლევიან მიღებულ იქნას აორთქლებული მასალის სტაბილური, მიმართული ნაკადი. ტიგელი ძირითადად მზადდება მოლიბდენის ან ტანტალისაგან



ნახ. 30. ტიგელიანი ამაორთქლებლის სქემა:

1 – საყრდენი; 2 – კერამიკის მილი; 3 – კორპუსი; 4,5,6 – ეპრანები; 7 – ტიგელის ბუდე; 8 – ტიგელი; 9 – დენიმყვანები; 10 – სამაგრი; 11 – თერმოწყვილი; 12 – სამაგრი; 13 – თერმოწყვილის ბუდე; 14 – გრაფიტის ცილინდრი; 15 – კვარცის მილი; 16 – გამახურებელი სპირალი

სტაბილური საჭირო ტემპერატურის მისაღებად გამოყენებული ფუძეშრის გამახურებლის სქემა, რომელიც ასევე ფუძეშრის სამაგრის როლს თამაშობს ნაჩვენებია ნახ. 31 - ზე.



ნახ. 31. ფუძეშრის სამაგრ-გამახურებლის სქემა:

1 – საყრდენი; 2 – გრაფიტის ცილინდრული კორპუსი; 3 – ცილინდრული გარანები; 4 – ტიგელი; 5 – ტიგელის ჩასაღები ბუდე; 6 – სპირალური ღუმელი; 7 – ღუმელის კვების მიმყვანები; 8 – ორმოწყვილი

აორთქლების დროს მიმდინარე პროცესები პირველ რიგში დამოკიდებულია კამერაში გაკუუმის ხარისხზე. მაღალი გაკუუმის 10^{-5} – (10^{-6}) მმ. ვწყ. სვ.) პირობებში აორთქლებული ნივთიერების ატომები დატოვებენ რა მასალის ზედაპირს, მოძრაობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წრფივად ისე, რომ არ ეჯახებიან არც ნარჩენი აირის მოლეკულებს და არც ერთმანეთს და არ იცვლიან მოძრაობის თავდაპირველ მიმართულებას ფუძეშრეზე დაჯახებამდე. აორთქლებული ატომების ან მოლეკულების ასეთ ნაკადს მოლეკულური ნაკადი ეწოდება. აღმოჩნდა, რომ მოლეკულურ ნაკადებზე შეიძლება გავრცელდეს გეომეტრიული ოპტიკის ის კანონები, რომლებიც გამოიყენებიან განათებულობის გათვლის დროს:

1. ამაორთქლებლის ზედაპირიდან ამ ზედაპირის ნორმალის მიმართ ფართხოებით აორთქლებული ნაწილაკების ინტენსიურობა პროპორციულია $\cos \varphi$ -ისა;

2. წერტილოვანი ამაორთქლებლისათვის ფუძეშრის ერთეულოვან ზედაპირზე ერთ წამში მოსული ატომების რაოდენობა უკუპროპორციულია ამაორთქლებლიდან საფენამდე მანძილის კვადრატისა.

მასალის აორთქლების სიჩქარე, ე.ი. ამაორთქლებლის 1 სმ² ზედაპირიდან 1 წამში აორთქლებული მასალის რაოდენობა გამოითვლება ფორმულით

$$\omega = 0.0588 p \sqrt{\frac{M}{T}} \approx 6 \cdot 10^{-4} \sqrt{\frac{M}{T}} \quad (33)$$

სადაც თ არის აორთქლების სიჩქარე, გ/სმ²წმ; P – ნაჯერი ორთქლის წნევა (10^{-2} მმ.გწყ.სკ); M – მოლექულური წონა; T – აბსოლუტური ტემპერატურა K .


თუ ელემენტარული მასალის გაკუმურ-თერმული აორთქლების მეთოდით ფირის დაფენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ამის თქმა არ შეიძლება შენაერთებისა და შენადნობების შესახებ. შენადნობის გახურებისას ხდება მისი დაშლა შემადგენელ კომპონენტებად, რომლებიც ორთქლდებიან სხვადასხვა სიჩქარით, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ორთქლის დრეკადობასთან და მათ რაოდენობრივ თანაფარდობასთან შენადნობში. ფუძეშრეზე ამ დროს მიიღება ფირი, რომლის შემადგენლობაც ძალიან რთულად იცვლება სისქის მიხედვით. პირველი ფენა გამდიდრებულია ადვილად აქროლადი კომპონენტით, ხოლო შემდეგი – მნელად აქროლადით.

არსებობს შენადნობისა და ადვილად შლადი შენაერთების ფირების მიღების რამდენიმე მეთოდი:

1. წინასწარ სინთეზირებული მასალის აორთქლება;
2. თითოეული შემადგენელი ელემენტის რიგ-რიგობით დაფენა ფუძეშრეზე და შემდეგ მიღებული მრავალფენიანი სტრუქტურის გამოწვა მაღალ ტემპერატურაზე;
3. დისკრეტული აორთქლება;
4. ორივე კომპონენტის ერთდროული აორთქლება სხვადასხვა წყაროდან.

პირველი მეთოდი გამოიყენება იმ შენადნობისა და შენაერთების ფირების მისაღებად, რომელთა შემადგენელ ელემენტებს გააჩნიათ დაახლოებით ერთმანეთის ტოლი დნობისა და დუღილის ტემპერატურები და ორთქლის დრეკადობები. ამ შემთხვევაში ისინი აორთქლების ტემპერატურაზე ფრაქციონირებას არ განიცდიან და იძლევიან ფირებს, რომელთა შემადგენლობა ახლოსაა ასაორთქლებელი მასალის შემადგენლობასთან.

მეორე მეთოდი, რომელიც დამყარებულია მრავალფენიანი ფირის (ნახ. 32) კომპონენტების ურთიერთდიფუზიასთან შეიძლება გამოყენებულ იქნას მაშინ, როდესაც ერთ ელემენტს მეორეში გააჩნია დიფუზიის მაღალი კოეფიციენტი, რის გამოც არაა საჭირო ფირის გახურება ძალიან მაღალ ტემპერატურებამდე.



ნახ. 32. მრავალფენიანი ფირი


მესამე მეთოდი – მრავალი სწრაფი დისკრეტული აორთქლების მეთოდი – გამოიყენება ისეთი შენადნობებისა და შენაერთების შემთხვევაში, რომელთა შემადგენელი კომპონენტების აორთქლების სიჩქარეები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს მეთოდი დამყარებულია იმაზე, რომ შენადნობის წვრილად დაქცემაცებული ნაწილაკები თანაბრად მიეწოდებიან ამაორთქლებელს, რომელიც წინასწარ არის გახურებული აორთქლების ტემპერატურამდე. ამ შემთხვევაში ხდება მათი მყისიერი აორთქლება.

კონსტრუქციულად ასეთი მოწყობილობა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ნაწილაკების მიწოდება ხდება ისეთი სიჩქარეებით, რომლებიც ტოლია ამ შენადნობის აორთქლების სიჩქარის. მაშინ დამყარებულ მდგომარეობაში ამაორთქლებლის ზემოთ სივრცეში ერთდროლად ორთქლის მდგომარეობაში იმყოფებიან შენადნობის უკელა კომპონენტები იმავე თანაფარდობით, რა თანაფარდობითაც შედიან ისინი შენადნობში და საფეხის ზედაპირზე ავტომატურად შეიძლება მიღებულ იქნას მიღებული შემადგენლობის ფირი. მოყვანილი მტკიცება მით უფრო სამართლიანია, რაც ნაკლებია ნაწილაკების ზომა და მით უფრო ხშირად და თანაბრად მიეწოდება ისინი ამაორთქლებელს.

უნდა აღინიშნოს, რომ დისკრეტული აორთქლებისას მართალია ფრაქციონირებას მაინც აქვს ადგილი, მაგრამ თითოეულ პორციაში მასალის რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ფირში არაერთგვაროვნება შეიმჩნევა მხოლოდ რამდენიმე მონოატომური შრის სისქეში. ეს პოტენციური არაერთგვაროვნებები მცირდება იმის ხარჯზე, რომ ამაორთქლებელზე მასალის მიწოდება ხდება უწყვეტად. დისკრეტული აორთქლების დროს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამაორთქლებლის ტემპერატურის შერჩევას, ვინაიდან ძალიან მაღალი ტემპერატურის დროს ნაწილაკები აირეკლებიან ამაორთქლებლიდან ისე, რომ ვერ ასწრებენ აორთქლებას, ხოლო შემცირებული ტემპერატურის დროს მასალის მარცვლები გროვდებიან ამაორთქლებელში ისე, რომ არც დნებიან და არც ორთქლდებიან. ამაორთქლებლის ტემპერატურა ისეთი უნდა იყოს, რომ შესაძლებელი იყოს უკელაზე ნაკლებად აქროლადი კომპონენტის აორთქლება.

ამის გარდა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფხვნილის თანაბარი მიწოდება ამაორთქლებელზე და მინიმუმად უნდა იყოს დაყვანილი ნაწილაკების დანაკარგები ამაორთქლებელზე მიწოდებისას.

ნახ. 33 - ზე მოყვანილია დისკრეტული აორთქლების მეთოდით შენაერთებისა და შენადნობების ფირების მიღების სქემა.




ნახ. 33. დისკრეტული აორთქლების მეთოდით თხელი ფირების
მიღების სქემა:

1 – ფუძეშრე; 2 – ამაორთქლებელი; 3 – ტრანსპორტიორი; 4 – კონტეინერი;
5 – ეკრანი

კონტეინერში ათავსებენ შენადნობის სათანადო ზომის მარცვლებს, რომელიც შემდგომ მიეწოდება ამაორთქლებელს. ამაორთქლებელზე მასალის მისაწოდებლად შესაძლებელია ტრანსპორტიორის ნაცვლად გამოყენებული იყოს სხვა კონსტრუქციის მოწყობილობებიც. მაგ. ვიბრომკვებავი, არქიმედეს ხრახნი და სხვა.

მეოთხე მეთოდი – შენაერთის კომპონენტების ერთდროული აორთქლება ორი დამოუკიდებელი წყაროდან დაკავშირებულია მნიშვნელოვან სიძნელეებთან, რაც გამოწვეულია ფუძეშრეზე სტექიომეტრიული შემადგენლობის მისაღწევად ცალკეული კომპონენტების აორთქლების ინტენსივობის რეგულირებასა და შენარჩუნებასთან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ორი კომპონენტის დამოკიდებული აორთქლება სხვადასხვა ტემპერატურაზე და მათი შემდგომი ერთობლივი კონდენსაცია ერთიდამავე ფუძეშრეზე გამორიცხავს წარმოქმნილი შენაერთის დაშლისა და ფრაქციონირების პროცესებს, რომელსაც ადგილი აქვს მრავალი შენაერთისა და შენადნობის უშუალო აორთქლების დროს. ამასთან შესაძლებელია ჩატარდეს ისეთი მასალების ერთობლივი დაფენა, რომლებიც ერთმანეთთან არ ქმნიან არც შენაერთს და არც მყარ სსნარებს. მეთოდის განსახორციელებელი მოწყობილობა სქემაზე ნაჩვენებია ნახ. 34-ზე.



ნახ. 34. კომპონენტების ორი დამოუკიდებელი წყაროდან გაკუმურ-თერმული აორთქლების მეთოდით შენაერთების ფირების მისაღები დანადგარის სქემა:

1 – გაკუმური კამერა; 2 – ფუძეშრის გამახურებელი; 3 – საფარი;
4 – ამაორთქლებლები; 5 – თერმოწყვეტილები

ფუძეშრეზე კონდენსაციის სიჩქარე, პირველ რიგში განისაზღვრება აორთქლების ტემპერატურაზე წონასწორული ორთქლის წნევით $P^*(T)$. ვინაიდან აორთქლება ერთნაირად ალბათურია ყველა მიმართულებით ცხადია ორთქლის ნაკადის სიმკვრივე მცირდება ამაორთქლებიდან დაშორების გაზრდით. მცირე ფართის ამაორთქლებლისათვის ფუძეშრეზე წნევის მნიშვნელობა შეიძლება გაითვალის ფორმულით:

$$Pr = \frac{A_e \cos \alpha \cos \theta}{\pi r^2} p^*(T) \quad (34)$$

სადაც A_e აორთქლების ფართია, α და θ შესაბამისად აორთქლებისა და დაცემის კუთხეებია; r – მანძილი ამაორთქლებიდან ფუძეშრის მოცემულ წერტილამდე.

ფუძეშრეზე კონდენსაციის საჭირო სიჩქარის მიღწევა ხდება ემპირიულად ამაორთქლებლების ტემპერატურების ცვლილებით.

აღწერილი მეთოდის მთავარი პრობლემაა ამაორთქლებლების ისეთი განლაგების მოქებნა, როდესაც ფუძეშრე ერთნაირადაა ექსპონირებული ორივე კომპონენტის ორთქლის მიერ. მოცემული ფორმულის თანახმად ფუძეშრეზე წნევის ეფექტური მნიშვნელობა დამოკიდებულია თითოეული კომპონენტის დაცემის ზურგებზე და მათ შორის დიდმა სხვაობამ შეიძლება გამოიწვიოს ფირის შემადგენლობის დიდი ცვლილება. ეს ძირითადად ეხება შენადნობების ფირებს. ქიმიური შენაერთების ფირების შემადგენლობა ნაკლებად მგრძნობიარეა ამაორთქლებლების განლაგების მიმართ და ორთქლის ნაკადების მკაცრ კონტროლსაც არ მოითხოვს. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ შენაერთის კონდენსაციის სიჩქარე, დამოკიდებულია არა მარტო შესაბამისი კომპონენტების ორთქლის წნევების თანაფარდობაზე, არამედ ზედაპირულ სიჩქარეზეც.


ისევე როგორც კონდენსაციის საჭირო სიჩქარე. დაფენის გეომეტრიული პარამეტრების შერჩევა-დაზუსტება ხდება ძირითადად ემპირიულად არსებული თეორიული მოსაზრებების გათვალისწინებით.

11.2. თხელი ფირების მიღება კათოდური გაფრქვევით

ლითონების თხელი ფირები, რომლებსაც გააჩნიათ აორთქლების მაღალი ტემპერატურა და ორთქლის დაბალი წნევა მიზანშეწონილია მიღებულ იქნან არა ვაკუუმურ-თერმული აორთქლებით, ვინაიდან ეს მოითხოვს მაღალტემპერატურულ ამაორთქლებლებს, არამედ კათოდური გაფრქვევით, რომლის სქემაც მოყვანილია ნახ. 35-ზე.

კამერის შიგნით განთავსებულია 1 წყლით გაცივებადი კათოდი, რომელიც დამზადებულია ასაორთქლებელი მასალისაგან, ანოდი 2, ფუძეშრე 5 და 4 კვარცის ჭიქა. თუ $7,5 \cdot 10^{-4} - 7,5 \cdot 10^{-5}$ მმ.გწყ.სვ წნევის დროს ანოდსა და კათოდს შორის მოვდებთ 1-3 კვ ძაბვას კამერაში აინთება მღვივარი განმუხტვა. კამერაში მყოფი სამუშაო აირის, მაგალითად Ar, იონები აჩქარდებიან და ელექტრულ ველში დაიწყებენ კათოდის დაბომბვას და ადგილი ექნება კათოდის მასალის გაფრქვევას, რომელიც გამოილექს ფუძეშრეზე. კვარცის ჭიქა კამერას იცავს გაფრქვეული მასალით გაჭუჭყიანებისაგან.

მაღალი სისუფთავის თხელი ფირების მისაღებად საჭიროა შემცირდეს ქიმიურად აქტიური აირების პარციალური წნევა და გაიზარდოს დაფენის სიჩქარე, ამისათვის საჭიროა ვაკუუმურ კამერაში მესამე ელექტროდის შეყვანა და შესაბამისად მეთოდს სამელექტროდული ან როგორც ხშირად უწოდებენ იონურ-პლაზმური მეთოდი ეწოდება. ამ მეთოდის განხორციელებისას მასალის გაფრქვევა ხდება არა კათოდის ბომბარდირებით მღვივარი განმუხტვის აღგზნებული იონებით, არამედ სპეციალური სამიზნის დაბომბვით აირადი განმუხტვის პლაზმის იონებით.




ნახ. 35. კათოდური გაფრქვევის მეთოდით ფირების მისაღები დანადგარის სქემა:

1 – კათოდი; 2 – ანოდი; 3 – კვარცის ჭიქა; 4 – ვაკუუმური კამერა;
5 – ფუძეშრე

ნახ. 36-ზე ნაჩვენებია იონურ-პლაზმური მეთოდით ფირების მისაღები დანადგარის სქემა.

კამერის ზედა ნაწილში განთავსებულია ანოდი 4, ხოლო ქვედაში კოლფრამის კათოდი 7. მესამე ელექტროდს წარმოადგენს 5 სამიზნე, რომელიც დასაფენი მასალის წყაროს წარმოადგენს. ფუძეშრე 2 – არის ელექტროდი, რომლის ზედაპირზეც ხდება გაფრქვეული მასალის კონდენსირება. 3 ღუმელის დანიშნულებაა ფუძეშრის გახურება. ფუძეშრის წინ განთავსებულია მოძრავი საფარი 1, ხოლო წყაროს გვერდით უძრავი ეკრანი 6. კამერაში ქმნიან – $\sim 1.3 \cdot 10^{-4}$ პა ტოლ ვაკუუმს, ახურებენ ფუძეშრეს და რთავენ კათოდის ვარგარების დენს. კათოდს ახურებენ იმ ტემპერატურამდე, რომელიც საჭიროა მაღალი სიმკვრივის თერმოელექტრული დენის მისაღებად. გახურებულ კათოდსა და ანოდს მოდებენ ძაბვას და კამერაში შეუშვებენ ინერტუულ აირს $1.33 \cdot 10^{-1}$ პა წნევით.



ნახ. 36. იონურ-პლაზმური დაფენის დანადგარის სქემა:

- 1 – საფარი; 2 – ფუძეშრე; 3 – ფუძეშრის გამახურებელი ღუმელი; 4 – ანოდი;
5 – სამიზნე; 6 – უძრავი ეკრანი; 7 – კათოდი

განმუხტვის ანთება ხდება ტესლას მაღალსიხშირული ტრანსფორმატორით, ან შეიძლება ანთება მოხდეს ანოდური ძაბვის მცირე გაზრდით თუ თერმოელექტრონული დენი მაღალია.

განმუხტვისას წარმოქმნილი დაბალი ენერგიის დადებითი იონები ბომბავენ ფუძეშრეს და ასუფთავებენ მას. ამის შემდეგ ასაორთქლებელი მასალის სამიზნეს მოსდებენ უარყოფით პოტენციალს და ხდება ამ უკანასკნელის ბომბარდირება პლაზმის დადებითი იონებით, რომელთა ენერგიაც საკმარისია სამიზნის მასალის გაფრქვევისათვის. სამიზნიდან ამოტყორცნილი ატომები მოძრაობენ სამიზნის პირდაპირ განთავსებული ფუძეშრისაკენ.

აღწერილ სამელექტროდულ სისტემაში მაგნიტური გელის გამოყენება იწვევს კამერაში არსებული ელექტრონების მოძრაობას სპირალური ტრაექტორიით, რაც ზრდის აირის ატომების იონიზაციის ხარისხს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამელექტროდიან სისტემებში გაფრქვევა ხდება 0,67 პა წნევებზე, მაშინ როდესაც ორელექტროდიან სისტემაში ამას ადგილი აქვს 4-6.6 პა წნევებზე. უფრო დაბალ წნევებზე დაფენა აუმჯობესებს ფირის ადგეზიასა და სტრუქტურას, ვინაიდან ამ შემთხვევაში გაფრქვეულ ატომებს გააჩნიათ მაღალი ენერგია და შეუძლიათ ფუძეშრეში შევიდნენ ერთიდან ორ ატომურ ფენამდე.

11.3. ფირების მიღება აირფაზური ეპიტაქსით

ერთი ნივთიერების კრისტალური ფენის წაზრდას იმავე (ან სხვა) კრისტალის (ფუძეშრის) ზედაპირზე მისი კრისტალოგრაფიული ორიენტაციის გამეორებით, ანდა ფუძეშრის ზედაპირის კრისტალოგრაფიული სიბრტყის მიმართ სხვა მკაცრად განსაზღვრული ორიენტაციით, ეპიტაქსია ეწოდება (ბერძნული სიტყვებისაგან ეპი – ზედ, ტაქსის – წესიერად განლაგება).

ეპიტაქსიური ფირის მიღების პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფუძეშრესა და მის ტემპერატურაზე.

როგორც წესი ეპიტაქსიური ფირის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ფუძეშრე წარმპოდგენს მონოკრისტალს. ამასთან მეცნიერ რუაიეს თანახმად, საფენისა და ფირის კრისტალური მესრის პარამეტრებს შორის განსხვავება არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს თუმცა, როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, მრავალი სისტემისათვის ეს წესი არ სრულდება და ეპიტაქსიური ფირის გაზრდა შეიმჩნევა მაშინაც, როდესაც მესრის პარამეტრებს შორის განსხვავება 15%-ზე მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პარამეტრების სიახლოვე, არ წარმოადგენს ეპიტაქსის მიმდინარეობის არც აუცილებელ და არც საკმარის პირობას.

ეპიტაქსიური წაზრდისათვის იყენებენ სხვადასხვა მეთოდით დამზადებულ ფუძეშრეს: ჰაერზე ან გაგუმში გახლებილ კრისტალს, ახლად გაზრდილ, მექანიკურად გაპრიალებულ და ქიმიურად ამოჭმულ ზედაპირს და სხვა. ატომურად გლუკ ზედაპირზე ნაწილაკებს გააჩნიათ გაზრდილი ძვრადობა, რაც ხელს უწყობს უფრო სრულყოფილ ეპიტაქსიას.

ფუძეშრის ტემპერატურა, როგორც გამოკვლევებმა აჩვენეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეპიტაქსიური ფირების ხარისხზე. ფუძეშრის ტემპერატურის გაზრდა აუმჯობესებს ეპიტაქსიური ფირის სრულყოფას და არსებობს ფუძეშრის გარევული კრიტიკული ტემპერატურა, რომელსაც ეპიტაქსიის ტემპერატურა ეწოდება.

მონოკრისტალური ფირი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ფუძეშრის ტემპერატურა ეპიტაქსიის ტემპერატურაზე მაღალია, ხოლო პოლიკრისტალური – როდესაც ფუძეშრის ტემპერატურა კრიტიკულზე დაბალია. ყოველი წყვილი შესაზღვდი ნივთიერებისათვის არსებობს საკუთარი ეპიტაქსიის ტემპერატურა, მაგრამ ეს არ წარმოადგენს ამ წყვილის ერთნიშნა მახასიათებელს და თავის მხრივ, დამოკიდებულია დაფენის სიჩქარეზე, ვაკუუმის ხარისხზე და ფუძეშრის ზედაპირის გაჭუჭყიანებაზე.

ეპიტაქსიური ფირის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს დაფენის სიჩქარე. საერთოდ დაფენის დაბალი სიჩქარეების დროს მიღებული ფირები უფრო სრულყოფილია, ვინაიდან დაბალი სიჩქარით მზარდი ჩანასახი ორიენტირებულია უფრო სწორად, ვიდრე სწრაფად მზარდი, მაგრამ ზოგიერთ სისტემაში მაღალი


სიჩქარით დაფენა იწვევს ეპიტაქსიის გაუმჯობესებას. თითქმის ეჭვს არ იწვევს, რომ ეს გარემოება გამოწვეულია არა ჩანასახების ორიენტაციის გაუმჯობესებით, არამედ მათი სიმჭიდროვით.

არსებობს ეპიტაქსიური ფირების გაზრდის ორი მეთოდი: აირფაზური ეპიტაქსია და თხევადფაზური ეპიტაქსია.

აირფაზური ეპიტაქსია არის ეპიტაქსიური ფირის მიღების ისეთი მეთოდი, როდესაც საჭირო შემადგენლობის ფირის მისაღებად გამოყენებული ერთი ან რამდენიმე რეაგენტი აირად ფაზაში იმყოფება და ის ფართოდ გამოიყენება ინტეგრლური მიკროსქემების ტექნოლოგიაში.

განვიხილოთ გალიუმის ნიტრიდის თხელი ფირების მიღების ტექნოლოგია აირფაზური ეპიტაქსიით.

GaN ეპიტაქსიური ფირის მისაღები დანადგარის სქემა დუმელის ტემპერატურულ პროფილთან ერთად მოყვანილია ნახ. 37-ზე. გამოყენების წინ (0001) ორიენტაციის მონოკრისტალური საფირონის ფირფიტებს რეცხავენ ჯერ ცხელი HNO_3+3HCl -ის ნარევში, ხოლო შემდეგ – გამოხდილი წყლით, ათავსებენ რეაქტორის ფუძეშრის სამაგრზე ქვედა მიღიდან 20 მმ მანძილზე და დაახლოებით 20 წთ-ის განმავლობაში აშრობენ $\sim 1000^\circ\text{C}$ -ზე სპექტრალურად სუფთა არგონის ჭავლში. კვარცის რეაქტორის ქვედა მიღები მის ბოლოსთან ათავსებენ




ნახ. 37. გალიუმის ნიტრიდის ეპიტაქსიური ფირის მისაღები დანადგარის სქემა (ა) და დუმელის ტემპერატურული პროფილი (ბ):

1 – კვარცის რეაქტორი; 2 – დუმელი; 3 – ფუძეშრის სამაგრი; 4 – ნავი ჩანატვირთით; 5 – როტამეტრები; 6 – აირადი არგონი; 7 – თხევადი ამიაკი; 8 – ბარბოტიორი.

კონტეინერს 6a ჩანატვირთით. ჩართავენ დუმელის ელექტროკვებას და როცა ფუძეშრის ზონაში ტემპერატურა მიაღწევს $\sim 1020^{\circ}\text{C}$ (ამ დროს გალიუმის ზონაში ტემპერატურა უნდა იყოს $\sim 940^{\circ}\text{C}$) დაიწყებენ ამიაკის მიწოდებას 50 ლ/სთ სიჩქარით. ამის შემდეგ იწყებენ HCl-ის ორთქლის მიწოდებას ბარბოტერით მიახლოებით 0,4 ლ/სთ სიჩქარით. პროცესს ატარებენ 25-30 წთ-ის განმავლობაში. მისი დამთავრების შემდეგ ჯერ შეწყვეტენ HCl-ის მიწოდებას, შემდეგ კი ამიაკის მიწოდებასაც და აცივებენ რეაქტორს ოთახის ტემპერატურამდე.

მოცემულ სამუშაოში გამოყენებულია ხელსაწყო ბარბოტერი, რომელიც საშუალებას იძლევა HCl-ის ორთქლი საჭირო კონტროლირებადი რაოდენობით მიეწოდოს რეაქტორს. ნახ. 38-ზე მოყვანილია ბარბოტერის კონსტრუქციის სქემა.

ბარბოტერი წარმოადგენს კვარცის ჭურჭელს 500-750 სმ³ მოცულობით. გადამტანი აირი მასში შედის 1 მილით, რომელიც თითქმის ჭურჭლის



ნახ. 38. ბარბოტერის კონსტრუქციის სქემა:

1 –მილი გადამტანი აირის მისაწოდებლად; 2 – სითხის ჩასასხმელი ნახვრეტი; 3 – რეაქტორში ორთქლის მისაწოდებელი მილი; 4 – კვარცის ფხვნილი; 5 – დუმელი

ფსკერამდე მიდის და რომელსაც ბოლოში გააჩნია ნახვრეტებიანი ბურთულა აირის უფრო თანაბარი მიწოდების მიზნით. რეაქტორში HCl ორთქლით გაჯერებული აირის მიწოდება ხდება 3 მილის გავლით. ბარბოტერის ავსება HCl ხდება 2 ნახვრეტით, რომელიც იხურება მჭიდრო საცობით. საჭიროების შემთხვევაში ბარბოტერში მყოფი სითხის გახურება ხდება 4 ნიქრომის სპირალიანი დუმელით.

11.4. თხელი ფირების სისქის გაზომვის მეთოდები

თხელი ფირების სისქის გაზომვა მაღალი სიზუსტით საკმაოდ რთული ამოცანაა. განვიხილოთ სისქის გაზომვის ზოგიერთი გავრცელებული მეთოდი.

მიკროაწონგის მეთოდი. კოქვათ ფუძეშრის წონის ნამატი დაფენის პროცესის შემდეგ შეადგენს ΔP მაშინ ფირის სისქე d იანგარიშება ფორმულით.


$$d = \frac{\Delta P}{\delta s} \quad (35)$$

სადაც δ არის ფირის მასალის კუთრი წონა; s – ფირის ზედაპირის ფართი.

ამ მეთოდით ფირის სისქის გაზომვისას იგულისხმება, რომ ფირის მასალის სიმკვრივე მასიური მასალის სიმკვრივის ტოლია და ფირის მასალა განაწილებულია თანაბრად.

სასწორის მგრძნობიარობისა და ფირის ფართისაგან დამოკიდებულებით მეთოდის მგრძნობიარობა შეადგენს 1-10 მკ/მ².

მრავალსხივიანი ინტერფერომეტრიის მეთოდი. მეთოდის არსი მდგომარეობს ფუძეშრიდან და ფირის ზედაპირიდან არეკლილი კოპერენტული სხივების ფაზებს შორის სხვაობის მიღებაში. გაზომვის წინ ნიმუშზე იღებენ ე.წ. საფეხურს – ფირის მკვეთრ გვერდით საზღვარს ფუძეშრეზე. ეს მიიღწევა ფუძეშრის ნაწილობრივ შენიდბებით დაფენის წინ ან დაფენილი ფირის ნაწილობრივი მოშორებით ქიმიურად. მორიგეობით განლაგებული ნათელი და ბნელი ზოლები L ბიჯით როგორც ფირის ზედაპირზე ისე ფუძეშრეზე ერთმანეთის მიმართ წანაცვლებულია | სიდიდით, როგორც ეს ჩანს ნახ. 39-ზე.



ნახ. 39. ინტერფერენციული ზოლების წანაცვლების სურათი

ინტერფერენციული მიკროსკოპით ზომავენ | წანაცვლებას. ფირის სისქე იანგარიშება ფორმულით

$$d = \frac{\lambda}{2} \cdot \frac{l}{L} \quad (36)$$

სადაც λ არის მონოქრომატული სინათლის ტალღის სიგრძე.

გაზომვის სიზუსტე შეადგენს 2-3 ნმ საუკეთესო ინტერფერომეტრებზე და 15-30 ნმ ჩვეულებრივზე. მიღებული GaN ფირის სისქის გაზომვა ხდება **МИИ-4** ინტერფერენციული მიკროსკოპით. ფირფიტას, რომელზედაც დაფენილია GaN მოათავსებენ მიკროსკოპის მაგიდაზე ისე, რომ საფეხური დაფენილ ფირსა და ფუძეშრეს შორის მოხვდეს ხედვის არეში და ოკულარში განთავსებული იყოს გერტიკალურად. ამის შემდეგ აკვირდებიან ინტერფერენციული ზოლების გარდატეხას (ნახ. 22) საფეხურზე. ოკულარ-მიკრომეტრით ზომავენ ჯერ მანძილს ყველაზე ინტენსიურ ხაზსა და მეზობელ ხაზს შორის (ერთი ზოლის შიგნით) – X. შემდეგ განსაზღვრავენ შუა ზოლის წანაცვლებას საფეხურზე – Δx დანაყოფი. ფირის სისქე იანგარიშება ფორმულით $d=0,27\Delta x/x$ მკმ.

ფერების დამზერა. დიელექტრიკული ფირების (SiO_2 , Al_2O_3 , Si_3N_4 და ა.შ.) სისქის დასადგენად აკვირდებიან ფირის ფერს. თუ ფირის ზედაპირზე სხივის დაცემა ნორმალურთან ახლოსაა და ფირები საკმაოდ თხელია (1 მკმ ნაკლები), მაშინ მანძილი მეზობელ ინტერფერენციულ მაქსიმუმებს შორის იმდენად დიდია, რომ ფირი მთლიანად ერთი ფერისაა. ფირის სისქის გაზრდით ფირის შეფერილობა იცვლება, ამასთან ერთიდაიგივე, ფერი შეიძლება განმეორდეს რამოდენიმეჯერ მანამ, სანამ ფირის სისქე $\lambda/4$ -ის ჯერადია. ამიტომ სისქის გასაზომად ფერის მიხედვით უნდა ვიცოდეთ არა მარტო შესაბამისი ფერის ტალღის სიგრძე არამედ ინტერფერენციის რიგიც $K=1,2,3, \dots$ თუ ფირის გარდატეხის მაჩვენებელია n მაშინ ფირის სისქე

$$d = K \frac{\lambda}{4} \cdot \frac{1}{n} \quad (37)$$

სადაც λ მოცემული ფერის შესაბამისი ტალღის სიგრძეა.

მგრძნობიარობა შეადგენს 20-30 ნმ. მისი ნაკლია სუბიექტივიზმი – სხვადასხვა ადამიანები ერთიდაიგივე სისქის ფირის ფერს აღიქვამენ სხვადასხვანაირად.

გრძივი ელექტროჭინაღობის გაზომვის მეთოდი. დაფენის კამერაში ფუძეშრის მეთოდის გვერდით ათავსებენ ცნობილი გეომეტრიული ზომების მქონე ფირფიტას – „მოწმეს“. გამზომი ხელსაწყო – ბოგირული კომპენსაციური სქემა, დაგრადუირებულია. სისქე იანგარიშება ფორმულით

$$d = \rho \frac{L}{Rh} \quad (38)$$

სადაც ρ – კუთრი წინაღობაა, R – ფირის წინაღობა „მოწმეზე“ კონტაქტებს შორის; L , h – ფირის სიგრძე და სიგანგ. მეთოდის მგრძნობიარობაა 1-5 ნბ, ხოლო გასაზომი ფირის ზღვრული სისქეა 1-5 ნბ.

ლიტერატურა

1. А. Я. Нашельский. Технология полупроводниковых материалов. М., „Металлургия“, 1972, 432 с.
2. А. Я. Нашельский. Технология полупроводниковых материалов. М., „Металлургия“, 1988, 271 с.
3. К. М. Таиров, В. Ф. Цветков. Технология полупроводниковых и диэлектрических материалов. М., „Высшая школа“, 1983, 252 с.
4. ზ. ჯაბუა, გ. გველესიანი, თ. დადიანი. ლაბორატორიული პრაქტიკუმი ნახევრად გამტარ მასალათა ტექნოლოგიაში (მოცულობითი კრისტალები). თბილისი, სპ, 1988, 92გ.
5. ზ. ჯაბუა, გ. გველესიანი, თ. დადიანი. ლაბორატორიული პრაქტიკუმი ნახევრად გამტარ მასალათა ტექნოლოგიაში თბილისი (დამხმარე სახელმძღვანელო). თბილისი, სპ, 1989, 69გვ.
6. А. Н. Курносов, В. В. Юдин. Технология производства полупроводниковых приборов и интегральных микросхем. М., „Высшая школа“, 1979, 368 с.
7. Н. Е. Ефимов, Н. Я. Козырь, Ю. Н. Горбунов. Микроэлектроника. М., „Высшая школа“, 1986, 464 с.
8. Л. А. Коледов. Технология и конструкции микросхем, микропроцессоров и микросборок. М., „Радио и связь“, 1989, 400 с.
9. Д. Ферри, Л. Энкерс, Э. Гринич. Электроника ультрабольших интегральных схем. М., „Мир“, 1991., 328 с.
10. Технология СБИС. Под. редакцией С. Зи. М., „Мир“, 1986 Т1. 408 с. Т. 2. 454 с.
11. Ю. П. Ермолаев, М. Ф. Попомарев. Ю. Г. Крюков. Конструкции и технология микросхем. М., „Советское радио“, 1980, 254 с.
12. Технология тонких пленок. Под. редакцией Л. Маисела, Р. Глэнга. М., „Советское радио“, 1977, Т1. 664 с. Т2. 768 с.
13. A. V. Gigineishvili, Z. U. Dzhabua, K. Davitadze, L. N. Glurdjidze. Optical properties of Tm_2S_3 thin films. Thin Solid Films. 261 (1995), 248-250.
14. ზ. უ. ჯაბუა. ლ. ნ. გლურჯიძე, თ. օ. დადიანი, ვ. ვ. სანაძე. ლეგированіе тонких пленок полуторного сульфида самария кадмием. Сообщение АН ГССР. 104, №3, 1981, с. 666-671.

15. З. У. Джабуа, Т. С. Лочошвили, М. Т. Тетелошвили, К. Д. Давитадзе. Г. М. Мазмишвили, Л. Н. Глурджидзе. Приготовление тонких пленок полуторного сульфида туния. Сообщение АН Грузии. 150, №1, 1994. с. 106-108.
16. Z. U. Jabua, T. O. Dadiani, A. V. Gigineishvili, M. I. Stamateli, T. S. Loshoshvili. Preparation of thin films of praseodymium monoantimonide and its electro physical properties. GEN, №3, 2004, p. 36-39.
17. З. У. Джабуа, Т. О. Дадиани, А. В. Гигинеишвили, М. Ю. Стаматели, К. Д. Давитадзе, Г. Н. Илурдзеб. Оптические и фотоэлектрические свойства нелегированных и легированных кадмием и свинцом тонких пленок полуторного сульфида неодима. ФТТ, 48 (8), 2006, с. 1397-1401.
18. З. Ю. Готра. Технология микроэлектронных устройств. М., „Радио и связь“ 1991, 528 с.